№ 165 კვირა, 26 ივლისი 1909 წ. № 165

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები, არ დაიბეჭდება. დაუბრუნებელი წერილები და კორესპონდენციები წაიშლება. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

### სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ ივლისიდან წლის ბოლომდე—5 მ. 10 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.

დავით გიორგის ძე აბელიშვილი შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ოცდა ცხრას ამ ივლისს გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ მეუღლის და დედის

ეკატერინე სოლომონის ასულის აბელიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის ცხრა საათზე ქ. თელავის ქართველთა სასასაფლაო ეკლესიაში. (1—379—1)

კონსტანტინე დავითის ძე, მეუღლე მისი ემმა გიორგის ასული და მარიამ კონსტანტინეს ასული ნასრიები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 26 ივნის გარდაცვალებულის: პირველთა—ძვირფას შვილის, ხოლო უკანასკნელის—საყვარელ დის ქუთაისის გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფის

ვასასი კონსტანტინეს ასულის ნასრიას

სულის მოსახსენებლად 30 ივლისს ამა წელს გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი ნიგოითის საზოგადოების სოფ. ქვიანის წმ. გიორგის ეკლესიაში. (1—377—1)

ექიმ ვ. ღამბაშიძის

### სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—15)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი ჯაბაშვილისა. (უ)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი** ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—21)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი კბილისა ი. შ. ჭანტურია** იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—8 საათ., კვირა-უქმე დღეს დილით 9—1 საათამდე. ავჭალის ქუჩა, № 71 (კიროჩნი ქუჩის სალო.) (24—310—13)

ახლად გახსნილი

ტფილისის

### კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

- ე. გ. ფელდგოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
- ვ. დ. ღამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.
- ხ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შეაჩერა მიღება.
- ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
- ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
- ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
- ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—117)

**ექიმი კაკიტელაშვილი** ქუთაისში 1 ივლისიდაა ავადმყოფებს მიიღებს ხომხის ქუჩაზე, თოფურიანცის საავადმყოფოსთან მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით 9—1 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—26)

**ექიმი ა. ს. ალადაშვილი** ბორჯომში, ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ ფაკულტეტის კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ერუსლოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—20)

„ტფილისის სობრანიე"

დღეს, კვირას, 26 ივლისს, ახალ საზაფხულო სადგომში

### საოჯახო საღამო

სინემატოგრაფი ქ-ნ ივანიცკასა საუკეთესო სურათები. საღამოს დაუკრავს მუსიკა.

სტუმრების შესვლა საზოგადო წესით წევრთა რეკომენდაციით.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. (1—380—1)

ა. ბოგდანოვის თხზულება ქართულ ენაზე

### პოლიტიკური ეკონომია

(მოკლე კურსი ეკონომიურ მეცნიერებისა) ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ 1-ლ აგვისტომდე. წიგნი დაიბეჭდება იმდენი, რამდენიც ხელის მომწერი იქნება და ამიტომ გასაყიდად არ გამოვა.

ვისაც ხსენებულ წიგნის შეძენა სურს, ურჩევთ დანიშნულ დრომდე მოაწეროს ხელი აგენტებთან.

(3—779—1) ვ. გაღილია.

ქუთაისის მთავ. ვაჟთა

### გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ, პირველ, მეხუთე და მეექვსე კლასებში და განმეორებითი ეგზამენები გიმნაზიის ყველა კლასში მოხდება 21-დან 31 აგვისტომდე. დანარჩენ კლასებში ჯერ-ჯერობით არა სჩანს, რომ ვაკანსიები იყოს.

თხოვნები საჭირო დოკუმენტებით მიიღება 18 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

დაწვრილებით ნუსხა ეგზამენებისა მსურველს შეუძლიან ნახოს გიმნაზიის კანცელარიაში ამა წლის 1 აგვისტოდან. (3—6.—1)

### ქუთაისის რეალური სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ იმათ, ვისაც სურთ მოსწავლენი აიყვანონ ოჯახში, უნდა თხოვნა შეიტანონ დირექტორის სახელობაზე და თან წარადგინონ სათანადო მთავრობის მოწმობა თავიანთ პოლიტიკურ საიმედობის და კეთილ ზნეობის შესახებ. (3—6.—1)

### შპალიერი ძმ. ტარნოპოლების

ფაბრიკის

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქის დიდ მაღაზიებში.

განყოფილება ტფილის.: გოლოვინის პრ. 21, სადაც თეატრია საარტისტო საზოგადოებისა.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (25—6. 21)

### დაბა ახალ-სენაკში

ქ-ნ მ. დ. ფულარიას თაოსნობით

### იხსნება

ქალების კერძო ოთხ-კლასიანი

### პროგიმნაზია

გამოსაცდელი ეგზამენი დაიწყება 16 აგვისტოს, ხოლო მეცადინეობა 1 სექტემბერს. (26—266—21)

### სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2\frac{1}{2}$—$3\frac{1}{2}$ ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1\frac{1}{2}$—3 ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგუოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგან, ყოველ დღე. $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ასპისოვი** — ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ხუდაბაშევი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ახვლედიანი**—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—67)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. ბეჟვანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 120,

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—204)

**კაბინეტი** კბილის საექიმო ა. ა. თათევოსოვი (ყოფილი თანაშემწე ლ. მტრეიზერისა) რაზიეწკაის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს.. საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—16)

### იარაღოვის ქარხნის

უფროსს ოსტატად ნამყოფმა

ამხანაგურთ გახსნა ახალი ქარხანა თუჯის და თითბრის ჩამოსასხმელი. შეკვეთილი სამუშაო სრულდება სწრაფად და კეთილ სინიდისიერად.

ადრესი ელისაბედის და აბასთუმნის ქუჩების კუთხე, № 2. ერასტო მაქსიმეს ძე წულაძე. (3—375—3)

## ტფილისი 26 ივლისს

ანტონ ფურცელაძის გამოლაშქრება ჩვენის გაზეთის წინააღმდეგ მით არის უფრო საყურადღებო, რომ რუსულ გაზეთში მოხდა, რუსულს ენაზე. ამით ჩვენ ის არ გვინდა ვთქვათ, რომ რუსულად ქართულ საქმეებზე, ჩვენს ავსა და კარგზე არ უნდა იწერებოდეს არაფერი. არა, ჩვენ გვინდა ვთქვათ მხოლოდ ის, რომ რუსულ გაზეთში უნდა ვცდილობდეთ, ჩვენი ცხოვრების ნამდვილი ვითარება გავაცნოთ ფართო აუდიტორიას და არა ჩვენის გულღვარძლიანობით ვკვებოთ მეზობლები.

მიმოიხედეთ ირგვლივ და შეხედეთ, რამდენი მტერი გვახვევია, რომელთაც მთელი მორევი დაუყენებიათ ცილისწამებისა, სიცრუისა და უნდობლობისა ჩვენ მიმართ. ტფილისში შავ-რაზმელთ ორი გაზეთი დაუარსებიათ განსაკუთრებით ჩვენთან საბრძოლველად; ამათ ბანს აძლევენ სატახტო ქალაქთა კაცთ-მოძულე ორგანოები. მთელი ატმოსფერა გაჟღენთილია საზოგადოდ არა-რუსთა და კერძოდ ქართველთა წინააღმდეგ მტრულის ქადაგებით. ქართველი საზოგადოება უკიდურესი შოვინისტია, სეპარატისტია, ყველას სდევნისო და სხვა. ქართველი ერი, რომელიც თვითონ განსაცდელშია დევნისა და შოვინიზმისაგან და სუსტ მოგერებით მოღვაწეობასაც ვერ აწარმოებს, კაცთ-მოძულე ორგანოების წყალობით თვითონვე ისურათება, იხატება როგორც უკიდურეს ნაციონალისტურ და აგრესიულ პოლიტიკის მიმდევარი, როგორც სხვა ერების მდევნელი და მჩაგვრელი. ასეთ უკიდურეს უსამართლო და ჩვენთვის მავნებელ აზრების გაფანტვის მაგიერ, ჩვენივე მწერლები გამოდიან რუსულს პრესსაში, ჭორებს იგონებენ და საჯაროდ ბანს აძლევენ მტერ-შოვინისტთა უსინიდისო ქადაგებას ჩვენს წინააღმდეგ. ქართველი საზოგადოება და პრესსა გაჟღენთილია სხვა ერთა წინააღმდეგ სიძულვილითაო, ბრძანა ანტონ ფურცელაძემ, ყველას სდევნის, ყველას ებრძვის, ყველას იშორებს, იმის მაგიერ, რომ მოკავშირეები ეძებოსო. უსირცხვილობა ამაზე შორს ველარ წავა! ეს პირდაპირი დაბეზღებაა, პროვოკაციაა, აშენებული ცილისწამებასა და სიცრუეზე.

რა უნდა იფიქროს რუსულმა და სომხურმა საზოგადოებამ, როცა ფურცელაძეების წერილებს კითხულობს? მათ ყური მოუკრავთ, ანტ. ფურცელაძე ქართველი მწერალია, და ბანკის თავმჯდომარეო და თუ ესეც მოწმობს ქართულ პროგრესიულ გაზეთის უკიდურესს შოვინისტობას, ქართველ საზოგადოების უკიდურესს ნაციონალისტობას, მაშ „ნოვ. ვრემია", „გოლოს კავკაზა" და სხვა ამ ჯურის გაზეთები მართალნი ყოფილან, როცა ქართველთა შოვინისტობასა და სეპარატისტობას ამხელენო... ამგვარ აძლიერებენ ფურცელაძენი იმ უნდობლობისა და მტრობის ატმოსფერას, რომელიც უიმისოდაც სდგას ჩვენს გარშემო და გვწამლავს...

გაზეთი „დროება" გუშინ არ დაბადებულა. წინამორბედებთან ერთად იგი თხუთმეტი წელიწადია ჰქადაგებს ერთა სოლიდარობას, ირკვევდა და არკვევს დღესაც ფორმებს კავკასიის ცხოვრებისას, რომელთაც უნდა უზრუნველ-ჰყონ კავკასიის ყველა ერთა მეზობლური და მეგობრული ურთიერთობა, საერთო ცხოვრება, სწერს და ჰქადაგებს, რომ საუკეთესო გარანტია კავკასიის ერთა განვითარებისათვის არის მათი სრული სოლიდარობა. მაგრამ აი, გამოდის გულ-ღვარძლიანი ადამიანი და ერთის კალმის მოსმით მიწასთან ასწორებს ამ გაზეთს და საქვეყნოდ გაიძახის სიცრუეს—რუს შავ-რაზმელებზე უარესნი ხართო. ქართულად რომ დაეწერა ეს, ყველა დასდებდა ღირსეულ ფასს; მაგრამ უცხო-საზოგადოებაში, შეიძლება ჭეშმარიტებად აღიარონ ანტონ ფურცელაძის ცილის-წამება და სიცრუე, მით უმეტეს, რომ იქ ბევრს ესიამოვნება ასეთ მხილების წაკითხვა, ბევრს ჰსურს საკუთარი შოვინიზმი დამალოს, დამარხოს სხვების გამტყუნებით...

ანტ. ფურცელაძე „ტფ. ლისტოკში" სწერს, მაგალითად ქართველთა შოვინიზმმა გააქცია ჩვენ ბანაკიდანაო ძმანი თუმანოვები, ფირალოვები და სხვანი. ჯერ ერთი, ეს ისტორიულს სიმართლეს არა ჰგავს, ცალმხრივი და ყალბი მტკიცებაა. მეორეც—ყურადღება მიაქციეთ, სად იწერება ეს? ძმათა ხაჩატუროვების ორგანოში, რომელნიც თვით არიან გაჟღენთილნი აგრესიულის შოვინიზმით. ვფიქრობთ, რომ ბევრი კომენტარია საჭირო აღარაა: თვით ის ფაქტი, რომ ანტ. ფურცელაძე—ქართველი მწერალი და მოღვაწე—ხაჩატუროვების გაზეთში სწერს ქართველების შოვინიზმზე, მარტო ეს ფაქტია საკმარისი საუბედუროდ, არა მარტო ანტ. ფურცელაძის ზნეობრივ და გონებრივ სიდუხჭირის დასამტკიცებლად, არამედ საზოგადოდ ჩვენის ცხოვრების უკულმართობის და გახრწნილების დასამტკიცებლადაც.

რასაკვირველია, ჩვენ ხმასაც არ ამოვიღებდით, ბ-ნ ფურცელაძეს სიმართლე რომ დაეწერა. მართლა რომ ფიქრად მოგვსლოდა ხაჩატუროვის სასაცილოდ აგდება იმიტომ რომ იგი სომეხია, მეტის ჩაქოლვის ღირსადაც ვცნობდით ჩვენს თავს. მაგრამ ფურცელაძემ მოჭორა საბუთი და დაგვაბეზღა. ესეც არ იკმარა: გაასაზოგადა თავისი ბრალდება და, მთელი ქართველი საზოგადოება სომხების მტერია, შოვინისტიაო, მოახსენა ფართო საზოგადოებას ძმ. ხაჩატუროვების გაზეთში. ჩვენ ამ ფაქტს საზოგადოებრივ მნიშვნელობას ვაძლევთ, რადგან, სამწუხაროდ, პირველი არაა ჩვენს ცხოვრებაში. ძმათა ხაჩატუროვებს არა ერთი ფურცელაძე გამოუძებნიათ ჩვენს წრეში ჩვენ სალანძღავად და გასათრევად, ჩვენთვის სახელის გასატეხად რუსულ საზოგადოებაში. ფურცელაძე ყოველთვის მზადა ჰყავთ—ნებსითი თუ უნებლიეთი—ეს სულ ერთია და ამიტომ გამოდის, რომ კავკასიაში შოვინისტები და უკიდურესი ნაციონალისტები მხოლოდ ქართველები არიან.

ამას წინად სწორედ ასე აყენებდა საკითხს ადგილობრივი რუსული გაზეთი „რუსსკი ს კავკაზა" როცა სათავადაზნაურო ბანკში მომხდარ ინციდენტზე სწერდა, პირდაპირ ამტკიცებდა ქართველ ერის შოვინიზმისაგან ცხოვრება გვაქვს შევიწროებული ყველასო—რუსებსაც, სომხებსაც, ბერძნებსაც და თათრებსაცაო. ორი კვირის შემდეგ ანტონ ფურცელაძემ ხელი გაუწოდა ამ შავ-რაზმელთ და გაიმეორა: ქართველები ყველას ებრძვიან და ყველანი შემოიფანტესო. ჩვენ კი მადლიერნი არა ვართ ხაჩატუროვების დიდ ღვაწლისა ჩვენი ქვეყნის წინაშე. უნდა ვუმადლოდეთ ანტონ ფურცელაძესაც, რომელმაც გაგვახსენა ჩვენი უმადურობა და მიგვიწვია ძმათა ხაჩატუროვების თაყვანისცემლად...

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ადგილობრივ შავ-რაზმელთა გაზეთი „რუსსკი ს კავკაზა" შემდეგ ცნობას გადმოგვცემს:

«რუსსკ. ზნ.»-ს სიტყვით, მაღალ სამღვდელო სფერებში განზრახვა აქვთ სინოდის შემოდგომის სესსიაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიონ ბაქოს ეპისკოპოსი გრიგორი — საქართველოს ეგზარხოსის მოადგილე; შემოდგომისათვისვე მოელიან კავკასიის ნამესტნიკის აზრს სინოდის იმ პროექტზე, რომელიც გადაწყვეტილია საქართველოს საეგზარხოსოს გაუქმება და რამდენისამე დამოუკიდებელ ეპარქიების დაარსება.

ამ ცნობას პატრიოტთა გაზეთი, თავის მხრით, შემდეგ შენიშვნას დასძენს:

არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ყოვლად უსამღვდელოესი გრიგოლი — ერთად-ერთი რუსი არქიელია კავკასიაში; ყველა სხვა ვიკარები—ქართველები არიან და უკიდურესი ავტოკეფალისტები. გასაკვირველია, რატომ ამდენხანს არ დაითხოვენ ამათ სამსახურიდან და მათ ალაგას რუსებს რათ არ გზავნიან. დრო სინოდმა აასრულოს ის მით უმეტეს, რომ საეგზარხოსოს გაუქმების პროექტი, რომელთანაც დაკავშირებული იყო ქართველ ეპისკოპოსების დათხოვნა, წინასწარ განხილვას ვერ გასცილებია ჯერ და ნამესტნიკის კანცელარიიდან ვერ გამოსულა.

რა სულ წასულობაა; შემოდგომამდეც ვერ მოუთმენიათ! საეგზარხოსოს გაუქმების პროექტი შემოდგომამდე დაიგვიანებსო და ამიტომ სინოდი ნულარ იცდის—ეხლავე დაითხოვოს ქართველი ავტოკეფალისტებიო!..

იმედია, როცა ჭეშმარიტ რუსი პატრიოტები ჩაიგდებენ სახელმწიფო უფლებას ხელში, ასეთ კუნკტატორობას აღარ გამოიჩენენ და ერთის დაკვრით მოსპობენ ყველა არა-რუსთ.

## დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან,
25 ივლისი

### სპარსეთი

**ბერლინი.** ვოლფის სააგენტოს თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ: გააუქმეს პოლიტიკურ საქმეთა განსაკუთრებული სასამართლო, რომელმაც რეაქციონერების ოთხ მეთაურს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. ამის შემდეგ პოლიტიკურ საქმეებს საერთო სასამართლოებში გაარჩევენ.

### ოსმალეთი

**ვენა.** „კორესპონდენტ ბიუროს" სტამბოლიდან ატყობინებენ: შინაგან საქმეთა მინისტრმა და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ თხოვნები შეიტანეს, ნება მოგვეცით სამსახურიდან გადავდგეთო. ამბობენ, ამის მიზეზი კრიტეს საკითხიაო.

**სალონიკი.** მთავრობა ბერძნებსა სდევნის. დააპატიმრეს ბევრი ბერძენი. ამ უკანასკნელებს წაართვეს აუარებელი იარაღი. სოფლებში ეგზეკუციები გაიგზავნა. კონსულებს დაზარალებულთაგან აუარებელი საჩივრები მოსდით. მთავრობა არავითარ ყურადღებას არ აქცევს მცხოვრებლების საჩივრებს. რეპრესიები კრიტეს საკითხის გამწვავებამ გამოიწვია.

**სტამბოლი.** ფერიდ-ფაშა სამინისტროდან გადის. ამის მიზეზად გაზეთებს და განსაკუთრებით „ტანინს" ასახელებენ, რომელმაც ფერიდ-ფაშის შესახებ წერილები დასტამბა. ფერიდ-ფაშას „ტანინის" გარდა სხვა გაზეთებიც ჰკიცხავდნენ. ელიან, რომ სამინისტროდან გავლენ ვაჭრობის და საზღვაო მინისტრები და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე თავმჯდომარეობას თავს დაანებებსო. შესაძლებელია, რომ მთელი სამინისტრო გადადგეს, მაგრამ იმედი აქვთ, რომ ახალ სამინისტროს შედგენას ისევ ხილმი-ფაშას მიანდობენ. ხილმი-ფაშა წმინდა საპარლამენტო სამინისტროს შეადგენს.

მონასტერის ვილაეთში და თვით მონასტერში არეულობა მოახდინეს პირველ კორპუსის გადასახლებულმა ჯარის-კაცებმა. ამ უკანასკნელებს მხარს უჭერენ ალბანელები.

### საზღვარ-გარედ.

**სტოკჰოლმი.** გაიფიცნენ ქალაქის განათებაზე მომუშავე მუშები. მუშების ცნობით ამ ჟამად მთელ შვეციაში გაფიცულ მუშათა რიცხვი 300,000 კაცს უდრის, მათ შორის, მარტო სატახტო ქალაქში გაფიცულა 50,000 მუშა.

**ბრესტი.** 23 ივლისს, ნაშუადღევის სამ საათზე ძრიელი მიწის ძვრა იყო. მცხოვრებლები ძალიან შეშინებულნი არიან.

**ლონდონი.** „დეილი ტელეგრაფი“ სწერს: ხელმწიფე იმპერატორმა ინგლისი ინახულა. ხელმწიფე იმპერატორის ჩამოსვლის მთავარი მნიშვნელობა იმაში გამოიხატება, რომ სახელმწიფოთა ეხლანდელ მდგომარეობაში არავითარი ცვლილება არ მოხდება. ინგლისმა, საფრანგეთმა და რუსეთმა მხოლოდ განამტკიცეს დამეგობრების მნიშვნელობათ. გაზეთი იმედოვნებს, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი კვლავ ინახულებს ინგლისს და მაშინ შეძლება ექნება ლონდონს მივიდეს.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტო იუწყება, ტყუილია ის ხმა ვითომ საფრანგეთის ჯარს ტრიპოლში დჯანეტის მიდამოები დაეჭიროსო.

**ლონდონი.** დეპუტატთა პალატა. საპარლამენტო მდივანმა დეპუტატმა პარლამენტში ინდოეთის ხარჯთ-აღრიცხვა შეიტანა. მდივანმა, სხვათა შორის, სთქვა: ინდოეთის ეკონომიური მდგომარეობა, წინა წლებთან შედარებით, გამოკეთდა. რაც შეეხება პოლიტიკურ მდგომარეობას, მთავრობა ანარქისტების შესახებ ენერგიულ ზომებს მიიღებს და არაფერს არ დაერიდება. მთავრობამ გადასწყვიტა ინდოეთში წესიერება აღადგინოს. მთავრობამ შეიწყნარა სტატს-სეკრეტარ მორლეის მიერ წამოყენებული რეფორმები და ამ მოკლე ხანში შეუდგება მათ განხორციელებას. ტყუილია ის ხმა, ვითომ მთავრობა შეშინებული იყოს და ამიტომ ჰსურდეს ინდოეთში რეფორმების განხორციელებაო. მთავრობა, წინანდებურად იმოქმედებს, თუმცა წარსულში ბევრი დაბრკოლება ნახაო.

**ვესტერა** (შვეცია). 50 გაფიცული მუშა სოფლებში წავიდა. აქ ეს უკანასკნელები სოფლის მუშებს სამუშაოდან რეკდნენ. პოლიციამ დააპატიმრა 30 მუშა. პოლიციასთან შეტაკების დროს 23 მუშა გაიქცა.

**გეტტენბორგი.** გაიფიცნენ ქალაქის ტრამვაის მუშები.

**კილი.** დღეს, 25 ივლისს, საღამოთი, სვინემიუნდედან ჩამოვიდა იმპერატორი ვილჰელმი. ვილჰელმი აქ ინახულებს ხელმწიფე-იმპერატორს. კილში თავი მოიყარეს ჩრდილოეთ და ბალტიის ზღვის ესკადრებმა.

## რ უ ს ე თ ი

**ტულა.** ეფრემოვის მაზრაში, ტყეში მოჰკლეს სტრელეცკის მამასახლისი. ეჭვით დააპატიმრეს ორი კაცი.

**მოსკოვი.** კრასნოსელსკის ქუჩაზე ჩამოინგრა ხუთ სართულიანი სახლი. არავინ დაშავებულა.

**მინსკი.** პეტრიკოვოს ახლო თავს დაეცნენ ფოსტას. მოკლულია მეტლე და ფოსტალიონი. ხმა დადის, რომ 100 მანეთამდე გაიტაცესო.

**ეკატერინბურგი.** ტობოლის მაზრაში დიდი სეტყვა მოვიდა. გაფუჭებულია ნათესი.

**კუსტნაი.** მაზრაში ცეცხლი გაუჩნდა მინდორს. დაშავდა 21 კაცი, აქედან უკვე გარდაიცვალა 5 კაცი. დაიწვა კირგიზების 24 სახლი.

## ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** 25 ივლისს ხოლერით ავად გახდა 38, გარდაიცვალა 8, ავად არის 451 კაცი.

**ვიტებსკი.** 18—23 ივლისამდე ავად გახდა 51, გარდაიცვალა 25 კაცი. 25 ივლისს, დღე-ღამეში ავად გახდა 9, გარდაიცვალა 6 კაცი.

**რიგა.** მაზრაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი.

**არხანგელსკი.** ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1 კაცი; მაზრაში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 3 კაცი.

**იაროსლავლი.** რიბინსკში და მის მაზრაში დღე-ღამეში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 4 კაცი; იაროსლავში და მის მაზრაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3 კაცი,

# პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის

## გარდაცვალების წლის თავი.

დღეს სრულდება ერთი წელიწადი, რაც სამშობლო მხარემ დაჰკარგა ერთი თავისი საუკეთესო შვილთაგანი. შარშან, დღევანდელ დღეს კარლსბადში ფილტვების ანთებამ გამოგვტაცა სახელოვანი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ვასილ პეტრიაშვილი. ეს უბედურება მძიმე ლოდად დააწვა თავზე ჩვენის აწიოკებული სამშობლო მოღვაწეთა მცირე გუნდს. მით უმეტეს, რომ იგი სრულებით მოულოდნელი იყო. ჯერ კიდევ ჯანსაღი, სურვილებით აღსავსე მოღვაწე, ის იყო აპირებდა სამშობლოში დაბრუნებას და ლამობდა, უკანასკნელი ძალები შეეწირა სამშობლოს პირად სამსახურისათვის. მაგრამ ბედმა უკუღმა დაატრიალა ჩარხი და ეს სამაგალითო ადამიანი უდროოდ გამოგვაცალა ხელიდან.

ოდესის უნივერსიტეტის პროფესორებმა და სტუდენტობამ მოისურვეს თავის მოჭირნახულე ამხანაგისა და მასწავლებლის დაკრძალვა ოდესსაში, სადაც განსვენებულმა გაატარა თავის სიცოცხლის საუკეთესო დღენი, სადაც მან მოიხვეჭა სახელი დაუზარებელ და დაუღალავ ჭეშმარიტების მკვლევარისა და საგანგებო მოღვაწისა და ადამიანისა. ოდესსის საზოგადოების ყოველმა ნაწილმა მიიღო მონაწილეობა თავის საყვარელ პროფესსორის დაკრძალვაში და უმაღლესის პატივისცემით მიაბარეს ძვირფასი ნაშთი სამარეს.

დიახ, მხოლოდ მიაბარეს დროებით, რათა მოხერხებულ დროს შესაძლო ყოფილიყო მისი გადმოსვენება სამშობლოში, რომლის მიწამაც უნდა დედა-შვილურად სამუდამოდ ჩაიხუტოს გულ-მკერდში თავის საუკეთესო შვილთაგანი. ეს მოხერხებული დროც გვიახლოვდება. ენკენისთვის უკანასკნელ რიცხვებში გადმოასვენებენ განსვენებულ პროფესსორის ნაშთს ტფილისში და აქ დაკრძალავენ მამა დავითის მონასტრის გალავანში. სრული იმედია, რომ თანამემამულენი ღირსეულის პატივისცემით მიეგებებიან და უკანასკნელად გააცილებენ ამ პატიოსან გვამს საუკუნო ბინამდე. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ განსვენებულ პროფესსორის აუარებელი მოწაფენი გამოიღებენ ამისთვის თავს. ეს მოსწავლენი ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში არიან გაფანტულნი, მაგრამ შეუძლიან პროფესსორის ცხედრის მისაღებად ტფილისში შექმნან წრე ან კომიტეტი. იმედია, რომ განსვენებულს ღირსეულ პატივსა სცემენ სოხუმსა, ბათუმსა და ქუთაისშიაც.

ჩემის აზრით, გვირგვინების მაგიერ უნდა შეიკრიბოს შეძლებისა და გვარად ფული, რომლითაც შეივსება უკვე შემდგარი თანხა განსვენებულის სოფელში სკოლისა ან ბიბლიოთეკის დასაარსებლად. ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ განსვენებული მუდამ წინააღმდეგი იყო ყოველივე მყვირალა პატივისცემისა, რისი შესანიშნავი მაგალითიც პირადის ცხოვრებით გვიანდერძა.

**ექიმი ივანე ელიაშვილი.**

# ახალი ამბავი

## ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ამნისტია.** „ბერლინერ ტაგებლატ“-ს რუსეთიდან დეპეშით ატყობინებენ: „ხმა დადის, რომ მთავრობა ამ მოკლე ხანში გამოაცხადებს ამნისტიას. ამნისტია მრავალ პოლიტიკურ საქმეს შეეხებაო“.

✦ **გვალვა.** რამდენჯერმე ვწერდით, რომ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ მაზრაში დიდის გვალვების გამო ნათესობა ძალზე დაზარალდაო. ეხლა „კავ.“-ც ამოწმებს, რომ გვალვისაგან გაფუჭებულა ნათესობა შორაპნის, ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრებში. წოგგან წყაროებიც კი დამშრალა.

✦ **ნავთი გურიაში.** როგორც ვწერდით. გურიაში სოფელ სამღვთოში კარგი ღირსების ნავთი აღმოჩნდა. ვწერდით იმასაც, რომ ამ ნავთიან ადგილების გამოსაკვლევად ჩამოვიდნენ კაპიტალისტთა მიერ გამოგზავნილი ინჟენრებიო. ინჟენრებს დაუთვალიერებიათ ადგილები და გადაუწყვეტიათ, ილონ იჯარით ექვსი ნაჭერი და შეუდგნენ ნავთის წარმოებას. ორი ნაჭერი თავ. დადიანს ეკუთვნის. ამ ნაჭერს იღებს თურმე იჯარით ბელგიელთა კომპანია.

✦ **მირზოევის სახელობის სტიპენდია.** გაანაწილეს მირზოევის სახელობის 15 სტიპენდია. 9 სტიპენდია სომეხს მიეცა, 2—ქართველს, 2—რუს, 1 მაჰმადიანს და 1—პოლონელს. ხუთი კაცი კანდიდატად აირჩიეს, რადგან მოსალოდნელია, რომ ხუთ სტიპენდიას კიდევ გაანაწილებენ.

✦ **დუშეთის ქალაქის ხმოსნები.** მოხდა არჩევნები დუშეთის ქალაქის თვით-მმართველობის ხმოსნებისა. არჩეულ იქმნენ: ნ. ბარათაშვილი, ი. ჯონქაძე, ა. მარტიროზოვი, გ. კორინთელი, გ. აპრილიანი, ს. ამირალოვი, ზ. დალაქოვი, ი. ჩორგოლოვი, გ. ყარიბოვი, ც. თაბორიძე, ს. ბარათაშვილი და ვ. ტუჩიევი. კანდიდატებად: ა. ბარათაშვილი, ვ. ყარანგოზიშვილი, ი. რონიაშვილი და გ. ოსეფოვი („ტ. ლ.“).

✦ **სასამართლოში.** მკითხველებს ეხსომებათ, რომ წელს აპრილში ვერაზე ვილაცეებმა გაჰქურდეს წმ. ნიკოლოზის ეკლესია. ამის გამო მაში შეიპყრეს იოსებ პატარაძე (19 წლ.), ივანე ონიაშვი (18 წლ.) და გიორგი ალნიაშვილი (27 წლ.). ეს საქმე 24 ივლისს გაარჩია ოლქის სასამართლომ და გადაუწყვიტა კატორგა: ალნიაშვილს ექვსი წლით, ხოლო პატარაძეს და ონიაშვილს—ოთხთ-ოთხი წლით. ამავე დღეს ოლქის სასამართლომ განიხილა ქალაქის გამგეობის მდივნად ნამყოფის ბეკის საქმე. სასამართლომ ბეკს გადაუწყვიტა ორი თვით დაპატიმრება.

✦ **სემინარიის ძველი შენობა.** ტფ. სასულიერო სემინარიის ძველ შენობას მოიჯარადრენი აღმოსჩენია. უნდათ თურმე გამართონ იქ სამკურნალო სხვებს—სასწავლებელი. მაგრამ სემინარიის მთავრობა აღარ იძლევა და აზრადა აქვს ძირითა სართულში მაღაზიები მოაწყოს და აგრეთვე გააქიროს. გააქირავებს აგრეთვე ზემოთა სართულებს.

✦ **ი. კარგარეთელის დაპატიმრება.** „ტალღის“ რედაქტორად ნამყოფს ი. კარგარეთელს პალატამ ამას წინად ერთი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა. კარგარეთელი ამ ერთი კვირის წინად დააპატიმრეს.

✦ **ეპისკოპოსი გრიგორი მთავარ-ეპისკოპოსად.** „კავკაზი“-ს სიტყვით, საქართველოს ეგზარხოსის მოადგილე ბაქოს ეპისკოპოსი გრიგორი გადაჰყავთ რუსეთში, სადაც მას მთავარ ეპისკოპოსობას მისცემენ თურმე.

✦ **მკვლელობა და დაპატიმრება.** „ჩანგის“ სიტყვით, შორაპნის დეპოში მოუკლავთ მუშა რუხაძე. ამის გამო 18 მუშა დაუპატიმრებიათ და მეტეხის ციხეში ჩამოუყვანიათ.

✦ **საპატიო მომრიგებელი მოსამართლენი.** ტფ. ოლქის სასამართლოს საპატიო მოსამართლეებად დაინიშნენ: მიცკევიჩი, გაკელი, ვეიდენბაუმი, გენერლები თავ. სუმბათაშვილი, თავ. ერისთავი, მაყაშვილი და ნაცვლიშვილი, თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, რუდოლფი, მელლერი, ლოპატინსკი, სლოვინსკი, კოხანოვსკი, დიმიტრიევი, ტ. ქიქოძე, კოკჩაევი, პავლოვი, რიდელი, სავანელი, სოგინი, სულხანიშვილი, შესტაკოვი, ალიხანოვი, ანტონოვი, ტოჩიევი, თავ. შალიკაშვილი, ბერჟე, ალიხანოვი, თავ. ვიზრიშვილი, ყარანგოზიშვილი, ტატიშჩევი, თავ. ჩოლოყაშვილი, დოლინსკი, თავ. თუმანოვი და ერისთავი, ინჟ. ბახმეტიევი, თავადნი ივანე აბხაზი, კონსტ. ამირაჯიბი, გიორგი ბაგრატიონ-დავითიშვილი, ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანი, რაჟდენ ჯანდიერი, გიორგი მელიქიშვილი, ნიკოლოზ თუმანიშვილი, შალვა ერისთავი, დიმიტრი ჰავჰავაძე და მაქსიმილიანე ჰავჰავაძე, მოსე მოსესოვი და მანთაშოვი.

✦ **მკვლელების შეპყრობა.** პოლიციამ დააპატიმრა არშაკ ყაზაროვი, ბარსეგ მურადოვი და მელიქ თათევოსიანცი, რომელთაც ბრალდებათ პოლიციელის ბერესტოვისა და ვინმე მამედ-ალი ჰუსეინ-ოღლის მოკვლა. გაჩხრეკის დროს ბინაზე თათევოსიანცს უნახეს ბრაუნინგის 30 პატრონი სხვა და სხვა მიწერ-მოწერა; ხოლო მურადოვის ბინაზე იპოვეს 3 ფოტოგრაფიული სურათი არალეგალურ პარტიათა პირებისა; ყაზაროვის ბინაზე იპოვეს ბრაუნინგის 7 პატრონი და ერთი ბებუთი.

✦ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო სუფთად გამოცემული ახალი ქართული წიგნი „ქება-ქებათა, თქმული სოლომონისი“ და სულამიდ ლირიკული პოემა ა. შანშიაშვილისა. ფასი 10 კაპ.

✦ 24 ივლისს, პოლიციამ, მე-10 საპოლიციო უბანში კიროჩნი ქუჩაზე (სახლი № 47), [illegible] -დან ადმინისტრატიულად გადასახლებული და უკანვე [illegible]

✦ 24 ივლისს, სართიჭალის ნაწილში პოლიციამ დაატუსაღა სიღნაღის მაზრის მცხოვრები შაქრო ფავლიაშვილი რომელსაც ბრალდება, სხვებთან ერთად, თავის მეზობლის მიხ. მღებრიშვილის გაცარცვა.

✦ 24 ივლისს, ღამის 12 საათზე, ვორონცოვის ქუჩაზე, ვანქის მამულის პირდაპირ, სპარსეთის ქვეშევრდომმა ამბოსინო მამედ ალი ოღლიმ ბემუთით მძიმედ დასჭრა თავისი თანამემამულე ჰუსეინ მამედ ოღლი. დამნაშავე დააპატიმრეს.

# პატარა ფელეტონი

## ბედნიერება

(თათრული ზღაპარი)

**ვ. დოროშევიჩისა.**

(დასასრული *)

ჰუსეინმა თვალი ველარაფერზე ველარ შეაჩერა. მთები, გორები, ჰალები ველ-მინდვრები გაურკვევლად მოსჩანდა. ტყეები თითქმის მწვანე ბალახად გადაქცეულიყო, წყლები ვერცხლის ძაფებად გარდაქმნილიყო, ქალაქები და სოფლები შავწერტილებად და მოსჩანდა. ჰუსეინი ღრუბლებს ხელითა სწვდებოდა. არწივმა მძიმედ დაიწყო ფრთების ქნევა.

— ხორცი!—წამოიძახა მან.

ჰუსეინმა მოსჭრა მელიას ერთი ნაჭერი და მიაწოდა. მხნედ და ძლიერად იფრიალეს არწივის ფრთებმა. მისცურავდა თვალმოუსწრებელად ცის სივრცეში. დღე ღამე მიფრინავდნენ ჰუსეინი და არწივი.

უფრო მალ-მალ თხოულობს ფრინველი.

— ხორცი!

არწივის ფრთები სულ ძირს, ძირს ეშვება. ტყეები და მთა-გორები უფრო ახლოს მოსჩანან.

— ხოროი! ჩქარა ხორცი!

დედამიწა ისევ შორს დარჩა. ველ-მინდორი ერთ მუჭადა სჩანს. კიდევ ერთი დღე-ღამე ასე იფრინეს. უკანასკნელ ღამეს მიფრინავენ. მზე ამობწრყინდა.

— აი, ხედავ, შორს, შორს, იქაა ოქროს სამეფო. ჰხედავ, ოქროს ფერად რომ ბჭყვრიალებს, ის ოქროს სახურავია მზეთუნახავის სასახლისა. იქაა შენი ბედნიერებაც. მთვარის ამოსვლამდე ჩვენ იქ ვიქნებით. დღეს იბადება ახალი მთვარე!—ამბობდა არწივი.

ჰუსეინის გულმა ფართხალი დაიწყო.

— ბედნიერება!!!...

არწივმა მოწყენილის ხმით წამოძახა.

— ხორცი!

— აჰა! ესეც უკანასკნელი ნაჭერი... გაფრინდნენ. ჯერ კიდევ შორსაა.

— ხორცი!..

— აღარ არის მეტი!

— ხორცი, ხორცი!.. ჰყივის ფრინველი.—ხორცი! ჩამოვარდებით დედამიწაზე!..

*) იხ. „დროება“ N 164.

# სიმღერა

გული გავგზავნე ქვეყნადა
სალაღოდ, სანავარდოდა.
სულ უტიფარი და ნორჩი,
ვინ იცის, საით დარბოდა!
დაბრუნდა, ჩემთან მოვიდა,
შევხედე, ველარ ვიცანი:
ათი-ათასი წყლული სჭირს,—
ტანჯვა-ვაების ნიშანი.
დამდნარა, ნალევს მთვარეს ჰგავ,
სულს ჰლევდა, თითქოს კვდებოდა;
ვეკითხებოდი, ხმას არ მცემს,
ცრემლის მორევში დნებოდა.
ვაებად ქმნილსა ძოლხენის
ალარაფერი სცხებოდა.
ვასუსუვ-ვანუგეშებდი,
არ მისმენს, არა სცხრებოდა,
თვითვეულს შეკითხვაზედა
ცრემლი ზღვად გადმოსკდებოდა.
გავიგე, სადაც სტიროდა
და რისათვისაც ბნდებოდა:
ქვეყნის ავ-კარგის გაცნობას
თურმე თან ცრემლი ჰხდებოდა.

**ვაჟა-ფშაველა.**

# დღიურს

შენთან ვსაუბრობ ყოველ დღე,
მესაიდუმლევ გულისა,
შენა ხარ დამატკბობელი
აღშფოთებული სულისა!
ხშირად ცხოვრების ტალღებში
დასუსტებული ბრძოლითა,
შენ გიზიარებ სიმწარეს
წელში მოხრილი შრომითა.
ავ-ენა გველთა სისინზე
გული შფოთდება, ფრანგდება,
მაგრამ ზნელეთის ასპიდებს
დღიურო გაუმკლავდება.
მას აქეთ, რაც რო გულს მოსწყდა
სატრფო, წაიღო ტალღამა,
ძითელ-მოთელა ცხოვრებამ,
სიცოცხლე ჩააბალღამა;
მის დარდ-ვარამსაც შენ განდობ,
შენ გიზიარებ, დღიურო,
შენ ჩემო გულის საოხო,
ჩემო მანანავ ციურო.
შენი წიაღი ზოგ-ზოგან
ამტყდარი ქარიშხალია,
და ზოგგან გლოვის ზარია.
სარკევ სულის და გრძნობების,
წარსულის გამხსენებელო,
აწმყოში ჩემი ფიქრების
მიმღებო, მომსვენებელო,
შენთან ვსაუბრობ ყოველ დღე,
მესაიდუმლევ გულისა,
შენ მხოლოდ ერთად-ერთი ხარ
ჩამყუჩებელი წყლულისა!

**ი. ევდოშვილი.**

# ტალკვესი

დაჰკარი ჩემო ტალკვესო
დაჰკარი, დააკვესე,
მეგობრებს პირში ეშმაზე
მტერი კი ააკვნესე!

შესწყდა პარლამენტის ძარღვის ცემა პეტერბურგში. მიყუჩდა ტავრიდის სასახლე. აღარ ახმაურებს მას პურიშკევიჩი. დეპუტატები აგარაკობენ, ზამთარში გახურებულნი ზაფხულში გრილდებიან. ლაპარაკის მადას იძლიერებენ კუჭის მოლონიერებით. დღეში ათ ვერცხლსა ჰყლაპავენ. ყოველ ქანქარს თავისი დანიშნულება აქვს და თავისი გეზი, რასაკვირველია იმის და მიხედვით, თუ რომელი დეპუტატი რომელ მხარეს ეკუთვნის: მარჯვენას თუ მარცხენას. მემარჯვენე მარჯვენა ხელით მარჯვენა ჯიბიდან იღებს ქანქარს, მემარცხენე მარცხენით მარცხენა ჯიბიდან. ოქტომბრისტები კი ხან მარცხნიდან, ხან მარჯვნიდან.

ამ გვარად პარლამენტის თვითეულს ფრაქციას განსაკუთრებული მიქანქარება აქვს. თვითეული ჩაშვებული ქანქარიც განსაკუთრებულ ფრაქციულ ხმას გამოსცემს ხოლმე:

მარჯვენა ქანქარი: „ერთ არს წმინდა, ერთ არს ჭეშმარიტ უჭეშმარიტესი კავშირი ჭეშმარიტისა“... ქანქარი ოქტომბრისტებისა: „ალილუია, ალილუია, აააალილუუიააა“. მარცხენა ქანქარი: „მოქალაქეთა, მესოფლეთა, მოაგარაკეთა ყურიმალთათვის, კბილთათვის, ქეჩათათვის, ყანყრატოტათვის ვილოცოთ და შევთხოვოთ უფალსა ღმერთსა ჩვენსა, რათა განაგდის ზურგთა მათგან მათრახი, ხოლო კისერთა მათგან ყრონთ-საბმელიიი“...

ასე და ამგვარად, ყოველს მათგანს განსაკუთრებული კილო აქვს, იმის და მიხედვით მარცხენა ჩანით იღეჭება თუ მარჯვენა ლაყუჩით.

რომელი მათგანის ზვარაკია შეწყნარებული მესამე ტრაპეზზე, ამას ნათლად გვიჩვენებს ამ წლის ექვსი თვის ანგარიში:

ყრონთ-საბმელით სასუფეველი მიენიჭათ:

| | | |
|---|---|---|
| იანვარში | 121 | მოქალაქეს |
| თებერვალში | 132 | „ „ |
| მარტში | 143 | „ „ |
| აპრილში | 69 | „ „ |
| მაისში | 151 | „ „ |
| ივნისში | 123 | „ „ |
| სულ | 739-ს. | |

ყველაზე ნაკლები აპრილს შეჰხვედრია და ამას უნდა უმადლოდეთ ქრისტეს, ვინაიდან აღდგომას ჯალათიც დღესასწაულობს.

ამავე ექვსი თვის განმავლობაში დაუქანქარებიათ 90 რედაქტორი, რის მეოხებითაც სახელმწიფო ხაზინაში წარდგენილა 47,675 რგვალი ვერცხლი. ასე და ამ გვარად, ყოველივე ამის მნახველთ და ამაზე მეტისაც, ნუ თუ არ ესაჭიროებათ დასვენება. შეისვენეთ, შეისვენეთ ჩვენი მოჭირნახულენი, ვიდრე ოდენ მზე ჩრდილოეთისაკენ დაიხრების, ყვავილნი ველსა მას განეძარცვებიან, ვენახთაგან ყურძენი აღიღებ-ბის და რთვილი განიგდების დედამიწასა ზედა, რათა მეოხ ეყოს გულსა თქვენსა და კვლავ შეაღოთ კარი უფლისა სალოცავათ.

* * *

მაგრამ ეს საერთო ტაძარია, მთელის იმპერიისა. მასში ყველა მოსურნე ლამაზს ვერ იქს. ამიტომ დღეის ამას იქით თვითვეულს ჩვენგანს ნება გვექნება საკუთარი პარლამენტი ვიქონიოთ, საკუთარის დეპუტატებით. დასვი შენი ცოლი თავმჯდომარედ და შენ პარლამენტი იყავ. აგინე რამდენიც გსურს. ბევრი, ბევრი აგიკრძალოს ხუთიოდ დღით პარლამენტში შესვლა. ან და შენ თავმჯდომარე იყავ, ის პარლამენტი, როგორც უფრო ენა მარჯვე. გადით და გამოდით, იტყვის და უპასუხე, იტყვი და გიპასუხებს. ვინაა დამშლელი! თქვენი მფარველი ერობა იქნება. ეს ერობა თურმე ისეთი ვინმე ყოფილა, რომ საცა კი ფეხს დასდგავს, აყვავდება იქაურობა: მშიერი განძღების, კეთროვანი განიკურნების, კუზიანი გასწორდების, თავისთავად მოვა პური, ღვინო, სიმინდი, ღომი, არა იქნება ქვეყანასა მას არცა თუ ფულანდარი (რომელი ითარგმანების ბურჟუად), არც თუ გლახაკი, არამედ ყოველი ერთფეროვან,—ერთ კუჭოვანი და იქნება ქვეყანასა მას ბულბულთა გალობა, ყვავილთა ლაღობა, ნაყოფთა მწიფობა ზამთარ და ზაფხულს.

ამ სამოთხე — ერობის გასაკეთებლად დღეს ბჭობენ ჩინოვნიკნი, თავადნი და სხვანი. ამაზე სწერენ და სწეწვენ. მის გასაკეთებლად საცაა ტფილისში რამდენიმე თავი შეგროვდება. აქ მოვა ქუთაისის თავი, ჩამოგორდება ბათუმისა, ფოთისა, გორისა, განჯისა, ერევნისა და სხვათა და სხვათა. ესენი ერთად იფიქრებენ, გააკეთებენ ერობას და დაურიგებენ ყოველ დაბას, სოფელს, კომლს და ტკუც თავი კავკასიავ შიგ სამოთხეში, ცხონდი და ცხონდი, რაოდენიც გენებოს!

* * *

მაგრამ თელაველები კი უკვე შეუდგომიან იერუსალიმის გზას. მათ შეუგნიათ, რომ არა ერთითა ლაქლაქითა სცხონდების კაცი, ამიტომ მიუციათ კვერთხი თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისათვის და გაუყენებიათ იგი გზასა ეკლიანსა. წინამძღოლს, როგორც ყოფილ, ულაშქროდ გადმოუვლია გომბორის მთა, მისულა სამოსწავლო ოლქი მზრუნველთან და უთქვამს ასეთი:

— თელაველებმა განაგდეს ეშმაკი. მათ სურთ გიმნაზია!

— ნუ თუ? მერე ნადიკვარი, ბაღნარი? ნუ თუ იქაურ ატესტატით არსად იღებენ?

— არა ბატონო, იღებდნენ, ერთ დროს დიდი გასავალიცა ჰქონდა იქაურ ატესტატს, მაგრამ...

— ეგ, თელავური მაგრამ...

— მაგრამ ის გახლავთ, რომ დაიკეტა, გოგრა-ჭამიას გიმნაზია, ბაყალ პაპაშვილის უნივერსიტეტი, პანკისას ინსტიტუტი. მერე რა კარგად სწავლობდნენ ჩვენი ახალგაზდები, სულ მედლებით გამოდიოდნენ ცხვირზე, ლოყაზე, გვერდებზე...

— აფსუს, აფსუს...—შეიბრილა დირექტორმა ყოფილი „გიმნაზიები“, დაფიქრდა და შემდეგ ჰკითხა წინამძღოლს:—წინ გასაძღოლი აქვს თქვენს გიმნაზიას.

— 6000 რგვალი რუსის მინანთული!

— ეყოფა საიქიომდე.—იფიქრა დირექტორმა, ჩაიცმა და მისცა ფირმანი თელაველებთან. ხოლო თავის ტიპიკონში კი დასწერა: „იე-

— აღარ არის, აღარ! გამაგრდი. ოღონდ მივფრინდეთ ბატკნებით გაგაძღებ!

თანდათან მძიმედ. მოდუნებით იშლება არწივის ფრთები. ძალა ელევა.

— ხორცი! ხორცი!—ჰკვნესის ფრინველი.

დედამიწა ახლოვდება. პაწია სახლები გარკვევით მოსჩანან. ადამიანებიც ჭიანჭველასავით დაფუსფუსობენ, ხმაურობა-ჟრიამულიც მოისმის. მინდვრებში ფერადი ყვავილები გამოჩნდება. ეს ეს არის არწივი ფრთებით ხის წვეროებს წამოედება.

— ხორცი! ვიღუპები! — ოხრავს ფრინველი.

— აღარ არის, აღარა!!.—კვნესის ჰუსეინი.

— მოიჭერი თუნდ შენი ხორცი!

ჰუსეინმა ჯიბიდან დანა ამოიღო.

— ბედნიერებისათვის!?!.. განა სულ ერთი არ არის?!

და მოიჭრა ერთი ნაჭერი ფეხიდან. ტკივილიც-კი არ უგრძვნია.

მიაწოდა არწივს.

— ბედნიერებისათვის!.. ბედნიერებისათვის!!.

ფრინველმა კვლავ მაღლა ცაში შეინავარდა. ოქროს სამეფოში მოოქრული სახურავები უფრო ახლოსა ჩანდნენ. მაგრამ ჯერ კიდევ შორს იყო.

ძალა გამოლეულმა ფრინველმა კიდევ მოითხოვა:

— ხორცი!

დედამიწას ისევ დაუახლოვდნენ.

გამწარებულმა ჰუსეინმა კიდევ მოიჭრა ფეხიდან ერთი ნაჭერიც—აჰა!

ფრინველი ერთგულად გაფრინდა.

ჰუსეინს დაჭრილ ადგილებიდან სისხლის ნაკადულები დასდის. მეტის ტკივილებისგან ტუჩები მოკუმშა და კბილები აუკაწკაწდა; ცეცხლის ფრად ანათებს მზის შუქზედ ჰუსეინის ჭრილობები. სისხლში მოსვრილი დანა მზად უჭირავს გასისხლიანებულ ხელში. ფრინველი უფრო მალი-მალ გასწივის:

— ხორცი!.. ხორცი!..

სჭრის და იფლეთს ტანს ჰუსეინი.

— ბედნიერება! ბედნიერება თანდათან უახლოვდება!

მზე მთის მწვერვალს გადაეფარა ჭალა-მინდვრებს ბინდი შემოეპარა. მხოლოდ ოქროს სამეფოს, უკანასკნელ მზის სხივზე საამური კამკამში გააქვს. მზე ჩაესვენა. სასახლის ფანჯარასთან მზეთუნახავი გამოჩნდა. მისი თვალ-მარგალიტის ბრწყინვალებამ ქვეყანა ელვასებრ გაანათა.

— ხორცი! — ხორცი! — ხრიწიანებს და თრთის ფრინველი.

დაბინდდა. ცაზე გამოჩნდა მოციმციმე ვარსკვლავთა გუნდი და მათ შორის ოქროს წმიდა ხაზივით გამოამუქა, პაწია, ახლად დაბადებულმა მთვარემ.

წორედ ამ დროს მისუსტებული არწივი მიდუნებული ფრთების ქნევით მძიმედ დაეშვა მზეთუნახავის ფანჯარის წინ.

— ესაა, კარგ დროს მოვედით—სთქვა ფრინველმა და მგზავრს გადაჰხედა, მაგრამ არწივს ზურგზე ჰუსეინის მაგივრად, მისი გასისხლიანებული ძვლის ჩონჩხები და ეყარა...

თურმე მთელი თავისი თავი შეექმია ჰუსეინს არწივისათვის...

**ჯაფარ-ფაშა.**

## გაზარია საჭირო მეურნის ნაწარმოებისთვის

ცოდნით განვითარებული მეურნე თავის მამულში ბევრს სხვა და სხვა მცენარეს გამრავლებს და მოსავლით დააკმაყოფილებს დაბა-ქალაქების მსყიდველ მოსახლეთ.

ყველა გონიერმა ვაჭრობაში გამოცდილმა მეურნემ უნდა დაახლოვებით იცოდეს დაბა-ქალაქის მცხოვრებთა საჭიროება, გამორკვეული უნდა ჰქონდეს, მოსახელეთ დღითიდღე იმის მოსავლიდან უფრო რა უნდებათ და ყველა იმის ნაწარმოებს რა ფასი აქვს ბაზარში.

როდესაც მეურნე დაბა-ქალაქის ვაჭრობაზე იქნება დაახლოვებული მაშინ თავის მამულში იმ მეურნეობის დარგს უფრო გააძლიერებს, რომელიც ბევრს ხარჯს, დროს, მუშაობას არ მოითხოვს და იმასაც ასარგებლებს.

სწავლა მეცნიერების კანონით მეურნემ თავის სამეურნეო დარგის მოწყობით, რაც შეიძლება ცოტა ხარჯი უნდა გაიღოს და თავის შრომის ფასი მეტი მიიღოს.

ამ გარემოებით მეურნემ თავის მამულში ისეთი გამოჩენილი მცენარენი უნდა გაამრავლოს, რომ იმათი კარგის ნაყოფით მყიდველები მიიმხროს. კარგ მცენარეთ და იმათ ნაყოფს ბევრი მსყიდველი ეყოლება, სახელს გაუკეთებს და ფასიც ბაზარში მეტი ექმნება.

ვაჭრობა დამოკიდებულია მოვაჭრეზე, მყიდველზე და მაზანდაზე. მოვაჭრე ყოველთვის მყიდველს ზრდილობით და პატიოსნად უნდა მოეპყრას, მატყუარი არ უნდა იყოს. მყიდველს გაფუჭებული, დამპალი საქონელი არ შეაპაროს. ყველა ვაჭარი გაყიდვის დროს საქონლის მაზანდით უნდა ხელმძღვანელობდეს.

მაზანდა სასწორია წესიერ ვაჭრობისა. ამ სასწორით იწონება ღირსება საქონლისა, ხარჯი იმის მოყვანა-მოშენებაზე, გაკეთებაზე და სარგებელი იმ ფულისა, რომელიც იმაზეა დახარჯული. მაზანდას უნდა არჩევდნენ და უცხადებდნენ ვაჭართაგან ამორჩეულნი მცოდნე და პატიოსანი მოვაჭრენი, დამტკიცებულნი ქალაქის მართებლობისაგან.

მაზანდა, როგორც პოლიტიკოეკონომიურმა სწავლა-მეცნიერებამ გამოიკვლია, უპირატესად უნდა იყოს დამყარებული ჩამოტანილ საქონლის ავ-კარგიანობაზე და იმის სიმრავლე-ცოტაობაზე. უკეთუ მყიდველის მოთხოვნა აჭარბებს საბაზრო საქონლის რაოდენობას, მაშინ საქონელს მეტი ფასი ედება, ე. ი. ფასი საქონლისა მაღლა adის, წინააღმდეგ შემთხვევაში მაზანდა ძირს იწევს.

ყველა აქ გამოთქმული, საუბედუროდ, არ ეთანხმება ნამდვილ ვაჭრობის თვისებას და მოთხოვნილებას. ნამდვილ ვაჭრობის წესი და რიგი ჩვენში შეშლილია. ეხლა უფრო გაბატონებულია ჩარჩობა, ვიდრე ნამდვილი ვაჭრობა. ამ გარემოებით მეურნე იღუპება, გული უტყდება, თვალთ-მაქცობისაგან. იმის საქონელს ბაზარში მცირე ფასი ეძლევა.

შესაცვლელად ამ უწეს რიგობისა ყველა მეურნე უნდა შეერთოს და დააწესონ დაბა-ქალაქებში ამხანაგობის სახელით დუქანი, სადაც ყველა მეურნეს მიერ მიტანილი საქონელი გაიყიდება და პატრონს თავის შრომის და დანახარჯის მხვედრი ფული ჩაბარდება.

**ი. წინამძღვარიშვილი.**

## მოწერილი ამბავი

**დ. ხონი.** ხონის სამხრეთით, ორი ვერსის სიშორით, მდებარეობს ს. ივანდიდი. 16 ივლისს, ღამის 2 საათზე, ამ სოფლის მცხოვრებს ღუარსაბ ტაბიძეს თავს დაესხნენ მძარცველები, რომელთაც მოჰკლეს თვითონ ღუარსაბ ტაბიძე, დასჭრეს მკლავში მისი მეუღლე, წაიღეს ფულად 240 მანეთამდე და მიიმალნენ. ის ამბავი იმ საათშივე აცნობეს ხონის პოლიციას, რომელიც შეფაცურდა, მაგრამ მძარცველები კი ჯერ-ხნობით ვერ აღმოუჩენია. საერთოდ, ამ ბოლო დროს ს. ივანდიდში ქურდ-ბაცაცობა და ავაზაკობა დღითიდღე მატულობს. საჭიროა საზოგადოება შეერთებულის ძალით შეებრძოლოს ასეთ უკუღმართობას და აღაგმოს მათი თავგასულობა. ისე გაკადნიერდნენ ეს გაჭბატონები, რომ ღამის არის მთლად აიკლონ ხალხი. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ასეთ საქმეში ხალხის თვით-მოქმედებას ფრთები აქვს შეკვეცილი. მის მიერ დაჭერილ კაცებს მეორე დღესვე ანთავისუფლებენ და ეს განთავისუფლებულნი შემდეგ მთლად იღებენ დამჭერებს. როგორც გავიგე, ხონის ბოქაული ამ მოკლე ხანში ს. ივანდიდში სასოფლო ყრილობის მოწვევას აპირებს ამ საქმის თაობაზე. რას ეტყვის ხალხს ბ-ნი ბოქაული ან რას უპასუხებს ხალხი, ამას შემდეგ გავიგებთ.

აქეთაც მოხსნეს ვითომ სამხედრო წესები. ხალხი ცის მანანასავით მოელოდა ამას, ფიქრობდა ცოტა ხალვათად ამოვისუნთქებო, მაგრამ მოსტყუვდა. სამხედრო წესების მოხსნით აქეთ არაფერი შეცვლილა. ყველაფერი კვლავინდებურად არის. ცარცვა-გლეჯაც ჩვეულებრივია. დარბევა-დაწიოკებაც ისევ ისე ხდება, როგორც წინად. ყველაფერი „თავისს წესსა და რიგზეა", არც იმათ აკვეცეს ფრთები, ვინც დრომა და გარემოებამ ზევით მოატივტივა და ვინც ხალხის კისერზე მაღლა გადადის.

ამ ბოლო ხანებში ხალხში მოიკრიბა სხვა და სხვა გადასახადები. მოკრიბეს, სხვათა შორის, დარაჯების შესანახი ფულიც. ამ გადასახადების გადახდა ხალხს მეტის-მეტად გაუჭირდა. რამდენიმე ოჯახი დაარბიეს და ნივთები გაიტანეს. აუარებელ გადასახადებსა ჰკრეფენ მაშინ, როდესაც ხალხი წელში გაწყვეტილია აუტანელ კრიზისის გამო.

როგორც გავიგე, ივანე შარაშიძის პირველ-დაწყებითი უფასო სასწავლებელი უსახსრობის გამო მომავალ სასწავლო წლიდან იხურება. ეს მეტისმეტად დასანანია იმ ღარიბ მშობლებისათვის, რომელთაც ამ სასწავლებელში ჰყავთ შვილები და რომელნიც მუქთად, იოლად აღებინებდნენ თავიანთ ბავშვებს პირველ დაწყებით სწავლას. სასწავლებელში ბავშვები ჰყავდათ მიბარებული უმთავრესად ისეთ მშობლებს, რომელთაც სწავლის ფულის გადების შეძლება არა ჰქონდათ. მე დარწმუნებული ვარ, ასეთ ბავშვებს სასწავლებლის დახურვასთან ერთად მთლად დაეხურებათ სკოლის კარებიც. ამაზე არავინა ზრუნავს, ვითომ უმნიშვნელო დაწესებულება იყოს. სამწუხაროა, რომ სასწავლებელი იხურება ჩვენის უმოქმედობით. დახმარება შეიძლება ან სახალხო სეირნობის გამართვით და ან წარმოდგენის დადგმით მის სასარგებლოდ.

**ფასკუნჯი.**

---

**ბახმარო.** (გურია). წელს ბახმაროს აუარებელი ხალხი მოაწყდა. გასულ წელთან შედარებით მოაგარაკეთა რიცხვი თითქმის ერთი-ორად მეტია. მოაგარაკეთა სიმრავლემ გამოიწვია სანოვაგის გაძვირება. მეტად გაჭირა საქმე ურძეობამ. გასასვლელად შემოტანილი რძე მოთხოვნილებას სანახევროდაც ვერ აკმაყოფილებს. წელს ბახმაროში მუსამჩნევი დარები დაიჭირა. ერთი თვე სრულდება, რომ წვიმა არ მოსულა. მოხუცებულები ირწმუნებიან, რომ ასეთი დარები ბახმაროზე ჯერ არ გვინახავსო.

ბახმაროზე არსებობს ეგრედ წოდებული „ჯანმთელობის" საზოგადოება. საზოგადოების მიზანია ხელი შეუწყოს აგარაკში სისუფთავის დაცვას და მოამხმარებლებს ხელმისაწვდენ ფასებში სადი სანოვაგე მიაწოდოს. როგორც ჰხედავთ, საზოგადოებას მეტად სიმპატიური მიზანი აქვს დასახული, მაგრამ საუბედუროდ, მიზანი მიზნადა რჩება. „ჯანმრთელობას" მოაგარაკეთა სასარგებლოდ მაინც-და მაინც თვალ-საჩინო დღემდე არაფერი გაუკეთებია. აგარაკი წინანდებურად ნეხვითაა სავსე, გადამდებმა სენმაც იჩინა თავი, მაგრამ ამაზე „ჯანმრთელობა" თავს არ იტკიებს. საზოგადოებას აქვს საკუთარი შენობები, რომლებშიაც მოთავსებულია საწვრილმანო დუქანი, რესტორანი. სასუზე და ფურნე. ეს შენობები უოვედ წლობით იჯარით ეძლევა კერძო პირებს მართალია, ამ სახლებში ვაჭრობა „ჯანმრთელობის" მიერ დაწესებულ ნიხრზე სწარმოებს; ინსტრუქციებსაც „ჯანმრთელობა" უდგენს, მაგრამ წესიერება კერძო დუქნებში უფრო დაცული. მოამგზავრისათვის განძრახული აქვთ თვალსაჩინოდ გაათვალთვალონ „ჯანმრთელობის" მოქმედების ასპარეზი. თუ განძრახვა სისრულეში მოიყვანეს, აგარაკის საქმე, რასაკვირველია უნდა უკეთ მოეწყობა.

ბახმაროს ჰქონდა ეგრედ წოდებული „საზოგადო" სახლი, რომელშიაც მოთავსებული იყო ბიბლიოთეკა და სცენა, მაგრამ კარგა ხანია ეს შენობა ვიღაცის ბოროტმა ხელმა დასწვა და მას შემდეგ ახალი შენობის აგებაზე თავს არავინ იტკიებს. ბიბლიოთეკა და თეატრი კი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ბახმაროსათვის, სადაც გარდა ბანქო-ნარდისა, არავითარი გასართობი არ მოიპოვება.

წელს ბახმაროს ეწვია ქართულ თეატრის და სცენის მოყვარეთაგან შემდგარი დასი. დასში, სხვათა შორის, შედიან ქ-ნი მდივანი, ვ. ურუშაძე, ი. ბარველი და მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორთა სკოლის მოწაფე ალექსანდრე წუწუნავა. საჭირო შენობის უქონლობის გამო სცენა სახელდახელოდ მოაწყეს კეგელ-ბანის სახურავს ქვეშ. ამნაირად, ბახმაროს თეატრი მოზრდილ თავლას უფრო წააგავს, ვიდრე თეატრს.

პირველი წარმოდგენა გაიმართა 15 ივლისს. დასდგეს ვ. აბაშიძის მიერ გადმოღებული კომედია „ეხლანდელი სიყვარული". წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო, მაგრამ წესიერება კი ვერ იყო დაცული. თეატრის კარებთან აუარებელი ბიჭბუჭნი მოგროვდნენ და შესვლა რომ ვერ მოახერხეს, საშინელი ხმაურობა ასტეხეს. სცენაზე რომ თამაში მიდიოდა, გარედან სტვენა და აურ-ზაური მოისმოდა. წარმოდგენამ, თუ მხედველობაში მივიღებთ მრავალ-გვარ დამაბრკოლებელ მიზეზს, მწყობრად ჩაიარა. დასასრულ დასდგეს ვ. ურუშაძის მიერ გადმოღებული ვოდევილი „რუკი ვერხ!."

მეორე წარმოდგენა დასდგეს 17 ივლისს. წარმოადგინეს კორნევის „უბედური ნაბიჭი". ამ დღისათვის თეატრის ადმინისტრაციას წესიერების დასაცავად საჭირო ზომები მიეღო და გარედან წინანდელივით გულშემზარავი ღრიანცელი აღარ ისმოდა. წარმოდგენამ საერთოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა პირველი ორმა მოქმედებამ სუსტად ჩაიარა. კარგი იყო გარგარა მიხაილოვნას როლში ქ-ნი მდივანი, თუმცა კარგად მოწყობილ სცენაზედ იმისი თამაში სულ სხვა იქნებოდა. სხვებსაც არა უშავდათრა. სცენის მოყვარენიც შეძლებისადაგვარად ხელს უწყობდნენ წარმოდგენას. არ შეიძლება ქებით არ მოვიხსენიოთ ბართენსსა იდას როლის აღმასრულებელი ქ-ნი ნინო წუწუნავა. ეს უკანასკნელი თავისს პასუხ-საგებ როლში იმდენად კარგი გამოდგა, რომ საკმაოდ დახელოვნებული მსახიობი გეგონებოდათ. ბოლოს ითამაშეს დ. მესხის ვოდევილი „მოთურჩხულნი", რამაც დაუსრულებელი სიცილ-ხარხარი გამოიწვია.

მესამე წარმოდგენა გაიმართა 19 ივლისს. ითამაშეს „პარიზელი ბიჭი". წარმოდგენას ხალხი საკმაოდ დაესწრო. პარიზელი [illegible] ქ-ნმა მდივანმა და მოხდენილი თამაშით აღ[illegible]ბა. ქ-ნი ნინო წუწუნავა მშვენიერი ელიზა იყო. ქვრივი მენიეს როლში არა უშავდა რა ქ-ნ ეველინა წუწუნავას. ბ-ნმა ურუშაძემ ორი როლი შეასრულა — გენერალ მორენისა და ბიზოსი. სუსტი იყო ბარონესსა მორენის როლში ქ-ნი თამარა ნაკაშიძე.

20 ივლისს სტუდენტმა მიხეილ ცეცხლაძემ წაიკითხა ლექცია „ჩვენი მწერლობის ბურჯნი". შეეხო ნ. ბარათაშვილს, ი. ჭავჭავაძეს და აკაკი წერეთელს. ლექცია შინაარსიანი გამოდგა.

**დონეშვილი.**

## სპარსეთი

**სესხი.**

ხმა დადის, რომ სპარსეთის მთავრობა 20 მილიონ მანეთის სესხებას აპირებს რუსეთისაგანაო. პეტერბურგში მოელიან სპარსეთის მთავრობის წარმომადგენელს, რომელიც ამ სესხის შესახებ მოლაპარაკებას გაჰმართავს რუსეთის მთავრობასთან.

**რეაქციონერებს მამულები ჩამოართვეს.**

მთავრობამ 60 გამოჩენილს რეაქციონერს ჩამოართვა მამულები, რომლებიც მათ ძველ შაჰისაგან ჰქონდათ ნაჩუქები. ამას გარდა მათ გადაახდევინებენ კონტრიბუციას 3 მილიონ თუმნამდე (სპარსული თუმანი—2 მან.) 3 დატუსაღებულმა რეაქციონერმა უკვე გადაიხადა 300 ათასი თუმანი.

**ნეჯეფის მუშტეიდების დეპეშა.**

ნეჯეფის მუშტეიდებისგან მთავრობამ მიიღო დეპეშა, რომელშიაც მუშტეიდები იწონებენ სპარსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებას, ხალხს დამშვიდებას ურჩევენ და მთავრობას სთხოვენ, რაც შეიძლება ჩქარა გახსენით პარლამენტიო.

**საარჩევნო სიები.**

სპარსულ გაზეთებში დაიბეჭდა ახლად შედგენილი საარჩევნო სიები. სიებში მოთავსებულია განმათავისუფლებელ მოძრაობის სახელგანთქმული მონაწილენი, ხოლო არც ერთი მოლა არა სწერია.

**რუსის ჯარი თეირანში.**

23 ივლისს თეირანში ახირებული ხმა გავრცელდა, ვითომ რუსის ყაზახების რაზმი—რამდენიმე ასეული—მოულოდნელად გაჩნდა თეირანს ახლოო. ირწმუნებიან, რომ ყაზახები ძველ საქარავნო გზით მოვიდნენ და ქალაქ გარედ დაბანაკდნენ, რუსეთის საელჩოს ახლოო.

**პრესის დევნა.**

„ბაქუ"-ს ატყობინებენ თეირანიდან: „დაკეტეს გაზ. „ხაბლულ-მატინ"-ი იმის გამო, რომ ამ გაზეთმა ერთ-ერთ თავის წერილში ვითომ ისლამი შეურაცხჰყო, თითონ რედაქტორიც დააპატიმრეს, მაგრამ ორი დღე ღამის შემდეგ ისევ გაანთავისუფლეს. სამღვდნლოების წარმომადგენელნი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ უმაღლეს საბჭოში, თხოულობდნენ, რომ რედაქტორი სიკვდილით დასჯილიყო".

**პროტესტი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.**

ბევრმა ფიდაიმ, ევროპიელმა და კავკასიელმა, აღშფოთებულმა მით, რომ ჩამოხრჩობილ რეაქციონერების გვამებს ბრბო ასასაცილოებდა, პროტესტი განაცხადა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. მთავრობამ მოსპო სახრჩობელები.

სპარსული გაზეთები კი იწონებენ რეაქციონერების სიკვდილით დასჯას". (ბ.)

**რადა სჯიან რეაქციონერებს სიკვდილით.**

ახალ მთავრობის ერთ-ერთ წევრს უთქვამს „რუს. სლოვო"-ს კორესპონდენტისთვის.

— ჩამოხრჩობილნი სიდია-გაზრიეტი და შეიხ ფეზლულა და აგრეცვე ბილე შაჰის კარებთან თოფით დახვრეტილი მუზაფერ-ულ მულკი, ძველის ბოროტ-მოქმედებისთვის როდი იყვნენ მიცემულნი სამართალში, როგორც ბევრსა ჰგონია.

სიკვდილით დასჯას ტყუილად სთვლიან მთავრობის მხრივ დაწყებულ

---

სოლ შვიდი პურით განაძღო შვიდი ათასი კაცი. შვიდი გოდორი ნამტვრევიც შეიკრიბა. თელაველები ექვსით განაძღობენ ექვსი ათასს და ექვს გოდორსაც შინ წაიღე შენ".

* *
*

ხოლო თელაველებისთვის კი დაუსწვრია ფრთამარდს „მიმინოს". მიმინოს მართალია, როგორც „ბუნების კარში" წამიკითხავს, ადამიანი არ არის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის სწერს, ლაპარაკობს და ადამიანივით დადის. ეს კიდევ არაფერი: ის დიდი პოლიტიკოსიც ყოფილა: შესანიშნავი ბრძოლა, რომელიც მოხდა ტფილისში, მახათას მთის დასავლეთ მხარეთ, კალოუბნის ეკლესიიდან რამდენიმე ნაბიჯზე, სადღობრ-თავად-აზნაურთა ჩინჩხვრებში, მან თავის სასარგებლოდ გამოიყენა. თუმცა ბ-ნი ხაჩატუროვი თავის სიგელგუჯრებში იხსენიებს, რომ ამ შესანიშნავ და უსწორ ბრძოლიდან მე გამოვედი გამარჯვებულიო, მაგრამ არა ნაკლების ისტორიულის ფაქტებით უმტკიცებს თავის გამარჯვებას ბ-ნი ამირაჯიბიც.

მე არა მქონია ბედნიერება, მეხაბა ველსა ზედა გაფანტული ბანალი მათი, რადგან წყეულ მეეზოვეს ღილა ადრიან ცოცხი მოესვა, მაგრამ ვფიქრობთ კი, რომ დამარცხებული გამოვიდა ბ-ნი ხაჩატუროვი. ამისი საბუთი თვით „მიმინოა". მან, როგორც თვით განაცხადა, სიტყვით და კალმით ხაჩატუროვის ბანაკიდან კონტრიბუცია აიღო. კონტრიბუციას კი, ომის წესით, როგორც ვიცით, დამარცხებული იხდის ხოლმე. მართალია, ბევრი რამ არ აუღია, სულ რაღაც 10 ქანქარუკა, მაგრამ ამას უწინდელს დროში დიდი ფულს ეძახდნენ. არც თუ ისეთი რთული ბრძოლა იყო, რომ მეისტორიე მიმინოს შაბრუნდ-გაბრუნდი გასჭირებოდა. სულ რაღაც ორი ტკაცანი ყოფილა ორივე მხრიდან. ერთი ყურიმალში დაჭრილა, მეორე თვალებს უკან ხერხემალში. და ეს ბრძოლა ესე ლექსად თუ პროზად აუწერია, ვითარცა მემატიანე გადმოგვცემს, ფრინველ „მიმინოს".

ამ დროს სად ყოფილა და სად არა, მასთან მიფრენილა ხაჩატუროვის შავარდენი. მას ფრთათა ქვეშიდან გამოუღია უკვდავების ათი აბი და მიუცია „მიმინოსათვის". „მიმინოს" ჩასძინებია კენწეროზე და უნახავს სიზმარი: ზევით ღრუბლებში ზის ხაჩატუროვი, ქვევით ის კაკლის კენწეროზე. ფული გუდა გუდაზე ცვივა. გაეღვიძა „მიმინოს", გაიხმორა, მოაგონდა სიზმარი, გაიქცა სტამბაში და ნახა ამხანაგები, მერე კოწია თუმანოვი, რედაქტორი „ივერიისა". და, როგორც თვითონ სწერს, რაღაც ზე შთაგონებით შეიცვალა აზრი „ბრძოლაზე". გამოიღო საბექდავ მანქანიდან წინანდელი ისტორია, შედვა მეორე, და, წარმოიდგინეთ, ყველაფერი ეს ისე სწრაფად ხდება, ისე უცებ რო თვით „მიმინო" ეხვევა ბურუსში: თუმანი, ხაჩატუროვი, მისი შავარდენი... ამხანაგების პილპილი... ასე იყო თუ ისე, მიმინომ ერთი ფრთა მოკუმა და მეორეთი მოუსვა. მაგრამ არ ეძინა ამ დროს ამირაჯიბსაც. მან წარსტაცა „მიმინოს" პირვანდელი ისტორია.

ასე და ამ გვარად, ბრძოლის შემდეგ დაიხლართა დიპლომატიური ძაფი, საიდანაც ჯერ-ჯერობით შეგვიძლიან დავასკვნათ შემდეგი:

1. მოხდა ხელჩართული ბრძოლა ხაჩატუროვსა და ამირაჯიბს შორის.

2. „მიმინომ" ხაჩატუროვიდან კონტრიბუცია აიღო ომის „ისტორიის" შესასწორებლად.

3. ამგვარად, სამივე მხარე კმაყოფილია, ვინაიდან ერთმა მიიღო ყურმალში, მეორემ—ზურგში, მესამემ—ჯიბეში.

* *
*

დიახ, ყველა მათგანმა თავთავისი წვლილი და თავთავისი ხვედრი გაიტანა, მაგრამ ამ ანტონ ფურცელაძეს რაღა აწვალებს, ეს კი მხოლოდ იმას გაეგება, ვინც იცის, რა ძალა აქვს დირექტორის ყუთში შავსა და თეთრს კენჭებს. ხაჩატუროვს რომ ამირაჯიბის სილა მოხვდა და ამირაჯიბს ხაჩატუროვისა, დარწმუნებული ვარ, ა. ფურცელაძეს არცა სწყენია და არც სტკენია. მიუხედავად ამისა, ის მაინც ჯავრობს. ხაჩატუროვი კაი ბუღჰალტერი იყოო, ერთს დროში სათავად-აზნაურო ბანკიდან ყოველ ოცში ჯამაგირს იღებდაო, დ. ყიფიანი რომ მოჰკლეს, მან თავის გაზეთში კაი ნეკროლოგი დაწერაო და ერთ საზოგადო მოღვაწეს (ნეტა ვინ არ არის ეს საზოგადო მოღვაწე) რომ სცემეს, მან ღრიალი მორთო, ბალი ალა, გეთანხმებით. ის კარგი ბუხჰალტერი იყო, ნეკროლოგიც დაბეჭდა, თქვენც „კარგი" დირექტორი ხართ, წერილებსაც ბეჭდავთ იმის გაზეთში, მორჩით და მოისვენეთ. კაჭკაჭმა ყვავი აქოს, ყვავმა კაჭკაჭი. ვინ იცის, იქნებ ამირაჯიბმაც იცის „ჩოტკზე" ჩაგდება, რაც შეეხება რედაქტორობას, ხომ არც ის ჩამოუვარდება ხაჩატუროვს, ზედ მეტად კნიაზიცაა. მაშასადამე, ბრძოლა აქ ორ შესაფერ გვამს შორის ყოფილა, ხოლო თქვენ რაღა გაწვალებთ, რისთვის ამტვრევთ კალმებს? იქნებ გონიათ მერმისამდე გასტანოს ამ კინკლაობამ. არა ბატონო, ამისთანა ბრძოლას ისტორია მალე ივიწყებს და საარჩევნო, ყუთებამდე ვერ აღწევს.

ბ-ნ ანტონს სწყენია, რომ „დროებამ" არ მოუწონა სიცრუე, ე. ი., მის მიერ ხაჩატუროვის ხოტბა და საქართველოს მოღვაწედ აღიარება. რაკვქნათ, ყველას თავისი საზომი აქვს: შეიძლება კაი ბუღჰალტერი ცუდ დირექტორს სჯობდეს, მაგრამ რა შუაშია, აქ საქართველო, ქართველები?! იქნება ჰფიქრობთ, ბუხჰალტერისთვის ძეგლი დავუდგმევინოთ. რათა დირექტორი კიდევ უკვდავების პანთეონში შევასვენოთ. არა, ძმაო, ჩვენ კაი მკვდრებისთვის ვერ მოგვიცლია და უხეიროებისთვის სულ ვერ მოვიცლით.

მაშ რა ალაპარაკებს ბ-ნ ანტონ? ყუთები, ძიავ, ყუთები! თეთრი და შავი! სამძიმარი საფეშქაშო იყო!

**ირა.**

ტერორად. თეირანის აღების უმალ ჩვენ დიდის ამით გამოუცხადეთ სრული ამნისტია ძველის რეჟიმის ყველა მომხრეს, თვით იმათაც-კი, ვინც ბოროტ-მოქმედება ჩაიდინეს ხალხის წინააღმდეგ. ჩვენ თეირანიდანაც-კი არ განვდევნეთ ისინი.

ასეთ ადამიანურ მოქცევისათვის მადლობის მაგივრად, რეაქციონერებმა ძალა მოიკრიფეს და მამედ-ალი-შაჰის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ ჯერ ერთი კვირაც არ გასულიყო, რომ მათ ორგანიზაცია დაარსეს კონტრ-რევოლიუციის მოსახდენად. ამ მოძრაობის მეთაური იყო შეიხ-ფეზლულა.

ორგანიზაციის პირველ კრებაზევე ღამით ფეზლულას სახლში გადაეწყვიტათ: დაუყოვნებლივ კაცები გავუგზავნოთ თურქმენებს და სხვა ველურ ტომებს და ვსთხოვოთ, რომ მათ თეირანზე გამოილაშქრონ და გზა და გზა ყველაფერი ცეცხლსა და მახვილს მისცენო. რეაქციონერებს იმედი ჰქონდათ, რომ ამ საშუალებით ისინი უცხოელთა ჩარევას გამოიწვევდნენ. მუზაფერ უდმულკმა, რომელიც მაზანდერინის გზაზე მეაქლემეს ტანისამოსში გადაცმული დაიჭირეს, გვიამბო, მე ასტრაბადში გამგზავნეს თურქმენთა შორის აგიტაციის გასაწევადო.

მეორე კრებაზე შეთქმულებმა დაადგინეს, 12 კაცი გავგზავნოთ სეპეხდარისა და სარდალ ასადის მოსაკლავადო.

ამას გარდა ორგანიზაციის ყველა წევრს დავალებული ჰქონდა, რომ ყოველი ღონისძიება მიეღო მთავრობის წევრთა შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად.

მესამე უკანასკნელ, კრებაზე ღამით დაედგინათ შემდეგი: თეირანში შავი რაზმი დავაარსოთ 500 კაცისგან და ყველა რაზმელს „მაუზერები“ დავურიგოთო. ამ შავ-რაზმელებს ქალური ტანისამოსი უნდა ჩაეცვათ, ჩადრები მოეხვიათ, ესარგებლნათ მით, რომ ქალებს ხელს არავინ ახლებს, შესულიყვნენ გულისტანის სასახლეში, სადაც იკრიბება უმაღლესი საბჭო და სამინისტრო და სადაც ახალი შაჰი ცხოვრობს, ყველანი განურჩევლად გაეწყვიტა და ქალი და ბავშვიც-კი არ დაენდო. ორიოდე კაცი იმავე დროს უნდა დასცემოდა ევროპის სახელმწიფოს ერთ-ერთ წარმომადგენელს ხოლო ქალაქში უნდა დაწყებულიყო ევროპიელთა ხოცვა-ჟლეტა.

შავი რაზმის მოწყობა დაევალებინათ სადია-გაზრიეტისთვის, რომელმაც წინადაც, როდესაც რევოლიუციონურმა ჯარმა ალყა შემოარტყა თეირანს, შეადგინა ამნაირი შავი რაზმი ხულიგანებისგან და მრავალი „მაუზერი“ და „ბრაუნინგი“ დაურიგა მათ თეირანის აღების შემდეგ ბევრმა ხულიგანმა ჩააბარა მთავრობას იარაღი, მაგრამ უმეტესობამ ან ჭებში დამალა, ან მიწაში ჩაფლა თავისი იარაღი.

თუმცა რეაქციონერები ფთხილად იქცეოდნენ, მათ ყველა კრებას მაინც საიდუმლოდ ესწრებოდნენ მთავრობის აგენტები, რომლებიც ყველაფერს ატყობინებდნენ მთავრობას. ბოლოს შეთქმულები დავატუსაღეთ და უმაღლეს დროებით სამართალში მივეცით.

აბა ეხლა თქვენ თითონ გასაჯეთ, შეგვეძლო გვეხელმძღვანელმა კაცთმოყვარულის მოსაზრებით, როდესაც საფრთხე ელოდა ახალ შაჰსა და წარჩინებულ მოღვაწეებს? უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ სპარსეთის ხალხს აუცილებლად სჭირია ასეთ შეურყეველ სასტიკობის მაგალითები.

ჩვენც უარ-ვყოფთ სიკვდილით დასჯას, ჩვენც თქვენზე არა ნაკლებ გვეზიზღება ის მხეცური სცენები, რომლებიც სახრჩობელას გარშემო ხდება, მაგრამ ამასთანავე გთხოვთ, არ დაივიწყოთ ისიცა, რომ რევოლიუციონერების სასტიკობა არ შეადგენს იმ საზარელ უდიერობისა და გულქვაობის მეასედსაც, რომელიც გამოიჩინეს რეაქციონერებმა ხალხის „დამშვიდების“ დროს.

**მამედ-ალის მამულები.**

შაჰად ნამყოფს დიდი მამულები აქვს სპარსეთში; მათი შემოსავალი წელიწადში 800,000 მანეთამდე ადის, ახალ მთავრობას გადაუწყვეტია, ეს მამულები სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოართვას მამედ-ალის.

**პოლკოვნიკი ლიახოვი.**

რუსის დიპლომატებს შეუტყვიათ პეტერბურგში, რომ პოლკოვნიკი ლიახოვი აღარ დაბრუნდება თეირანში.

# რევოლიუცია ესპანიაში

**ინგლისი დახმარებას უწევს ესპანიას.**

ინგლისის მთავრობამ სამხედრო კრეისერი გაგზავნა ესპანიისაკენ. თუ ესპანიის მეფეს საქმე გაუჭირდება, ეს კრეისერი ინგლისში წამოიყვანს მას. ესპანიის მეფე სიძეა ინგლისის მეფისა.

**რევოლიუცია კატალონიაში.**

ფრანგულ გაზ. „მატენ“-ის კორესპონდენტი ამნაირად ასწერს რევოლიუციას ფიგუერასში (ჩრდილოეთ კატალონიაში, საფრანგეთის საზღვარს ახლო): „რა წამს ქალაქში საყოველთაო გაფიცვა გამოცხადდა, მუშები ცოდიანშვილიანად გაემართნენ ვაგზლისკენ, დაიჭირეს პლატფორმები, გზებზე ბარიკადები ააშენეს ქვის ლოდებისაგან, გააფუჭეს ისრები და სიგნალები და ამნაირად მატარებლები აღარ გაუშვეს. ტელეგრაფის მავთულებიც გადასჭრეს, რის გამო ჯარის უფროსს აღარ შეეძლო მაშველ ჯარის გამოგზავნა მოეთხოვნა. მუშები თოფებსა ჰგლეჯდნენ ხელიდან ჯარის კაცებს, ხოლო პოლკოვნიკს ქვა ესროლეს და ცხენიდან ჩამოაგდეს. იგი რელსებზე დაეცა მიმავალ ორთქლ-მავალს ახლო და მხოლოდ რაღაც სასწაულით გადარჩა გაჭყლეტას. სოფლებში გლეხები თავიანთ შვილებს—სათადარიგო ჯარის კაცებს ამწყვდევენ სახლებში და ჟანდარმებს რევოლვერებით ემუქრიან და ახლოს არ უშვებენ თავიანთ სახლებთან. გლეხები ამბობენ: „ჩვენ არ გვინდა, რომ ჩვენი შვილები ძალდატანებით ხოცონ ბანკირების სასიამოვნოდაო“. კოტა-დელა სელვაში გლეხებმა იარაღი აჰყარეს ჟანდარმებს და დაატყვევეს ისინი. სათადარიგო ჯარის კაცები ასობით გარბიან საფრანგეთში, ზოგი გემებით, ზოგი ხმელეთით. ბარცელონიდან მოსულები ამბობენ, რომ ჯარის კაცებმა ბევრჯელ სთქვეს უარი და თოფი არ ესროლეს ხალხსაო.

# ოსმალეთის ამბები

**ბაბიკიანის გვამის გაჭრა.**

ამ დღეებში სტამბოლში უცებ გარდაიცვალა სომხის დეპუტატი ბაბიკიანი, რომელიც სხვა დეპუტატებთან ერთად ადანაში იყო გაგზავნილი იქაურ ამბების გამოსაძიებლად. ხმა დადიოდა, რომ ბაბიკიანი მოწამლესო, მაგრამ მისი გვამი გასჭრეს და აღმოჩნდა, რომ სომეხი დეპუტატი საკუთარ სენისაგან გარდაცვლილა.

**კრიტეს საქმე.**

საბერძნეთ-ოსმალეთის კონფლიქტი მწვავდება. ოსმალეთის მთავრობამ მოსთხოვა საბერძნეთის მთავრობას, კუნძულ კრიტედან დაუყოვნებლივ წაიყვანეთ საბერძნეთიდან გაგზავნილი აფიცერებიო. საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ჯერ პასუხი არ მოუცია ამ ნოტაზე.

ოსმალეთის მთავრობა ახალ ნოტას ჩააბარებს. დიდ სახელმწიფოებს კრიტეს საქმეზე. ოსმალეთის ფლოტის უფროსმა ინგლისელმა ადმირალმა კემბელმა უფროსობა გადასცა ოსმალელ ადმირალს. ეს ამბავი იმის მომასწავლებლად მიაჩნიათ, რომ ოსმალეთი მალე ულტიმატუმს გაუგზავნის საბერძნეთსაო.

# რუსეთი

✦ **ახალი კანონპროექტი.** „კასპ“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: „შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონპროექტი. კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობას იღებდა ბეჭდვითი სიტყვით მთავარ სამმართველოს უფროსი ბელგარდი. ამ პროექტით ყველაფერში პასუხს აგებს გაზეთის ფაქტიური მწერმეებელი. ამას გარდა კანონპროექტით მსურველს გაზეთის ნებართვა სამი დღის განმავლობაში უნდა მიეცეს. კანონპროექტს სახელმწიფო სათათბიროში ენკენისთვეში შეიტანენ“.

✦ **სამართალში მიცემა.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით სამართალში აძლევენ 9 გენერალს. ეს გენერლები მოსკოვის ინტენდანტსტვოში მსახურებენ და სხვა და სხვა ბოროტმოქმედება ბრალდებათ. ყველაფერი ეს სენატორ გარინის რევიზიამ გამოაქვეყნა.

✦ **გენერალ კუროპატკინის ახალი თხზულება.** გენერალ კუროპატკინს უკვე დაუმთავრებია თავის თხზულების „რუსეთ-იაპონიის ომი“-ს მეორე ნაწილი. კუროპატკინი ამ ნაწილში უმთავრესად ჯარის სხვა და სხვა ნაწილების უფროსებს ეხება. გენერალ კუროპატკინის სიტყვით ჯარის უფროსების უმეტესი ნაწილი მოუმზადებლები ყოფილან და ისე, რომ კიც განცვიფრებაში მოიყვანდნენო.

✦ **„ბოროტი სული.“** „რუსკ. სლ.“-ში ვკითხულობთ: ამ დღეებში პოლტავაში ადგილობრივ სატუსაღოს უფროსთან მივიდა ვინმე გლეხი კაპლოუხი. კაპლოუხმა სატუსაღოს უფროს გადასცა, სახლში ბოროტი სული გამიჩნდა, რამდენჯერმე ავაშენე სახლი და აშენებისათანავე დაიწვაო და სთხოვა, ტუსაღი სტადნიჩენკო დროებით გაანთავისუფლეთ, მას სცოდნია ბოროტი სულის მოგერება და დამიხსენით როგორმეო. რა თქმა უნდა სატუსაღოს უფროს უარი უთქვამს. მაშინ კაპლოუხს სატუსაღოს უფროსისთვის წარუდგენია ბოგოდუხოვის მაზრის ბოქაულის მოწმობა. მოწმობაში ბოქაული ამოწმებდა, რომ კაპლოუხის სახლში რაღაც არა ჩვეულებრივი ამბები ხდება, მისი სახლი სულ უმიზეზოდ რამდენჯერმე გადაიწვა და სხვა. კაპლოუხმა მაინც უარი მიიღო. კაპლოუხს გადაუწყვეტია მოუცადოს, სანამ სტადნიჩენკო სასჯელს მოიხდევს და მაშინ შეუდგეს რამდენჯერმე გადაწვულ სახლის აშენებას, სანამ სტადნიჩენკო ბოროტ სულს არ გააგდებს, ტყუილა უბრალოდ მომიხდება სახლის აშენებაო, და რაღად დავხარჯო ფულიო, უთქვამს კაპლოუხს. რუსეთის გლეხი ისეთ სიბნელეშია, რომ გასაკვირველი აღარც კია, რომ მას „ბოროტი სული“ და სხვა ამისთანეები სწამდეს, მაგრამ ის კი გასაკვირველია, რომ ბოქაულსაც კი დაუჯერებია ეს ამბავი და ცეცხლის გაჩენას რაღაც არა ჩვეულებრივ მოვლენებით ხსნის. განა გასაკვირველი არ არის, რომ ბოქაულს აქამდის ვერ გაუგია ცეცხლი რისგან ჩნდება? ეს პატარა ბავშვმაც კი იცის და რა დაემართა ბოქაულს, არ ვიცით!!“

# უცხოეთი

**საყოველთაო გაფიცვა შვეციაში.**

შვეციაში უკვე დაიწყო მუშების საყოველთაო გაფიცვა, რომელშიც ჯერ მონაწილეობას იღებს 300 ათასი მუშა. მოვაჭრეებმა მთლად გაყიდეს რაცკი შენახული სანოვაგე ჰქონდათ. იარაღის მაღაზიები და სასმელის დუქნები დაკეტილია. შვეციის სატახტო ქალ. სტოკჰოლმში პატრულები დადიან. წესიერება არ დარღვეულა.

# წერილი რედ. მიმართ

19 მკათათვეს ძმ. ლოტუაშვილების პარკში გაიმართა „სახალხო სეირნობა“ აქაურ პროგიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ. აქაური საზოგადოება გულ-მხურვალედ მოეკიდა ამ კეთილ მიზნით გამართულ სეირნობას. ყველა სცდილობდა შემოეტანა თავისი წვლილი ფულით, ნივთებით, თუ შრომით. ვინც კი ამ სურათს თვალით დაინახავდა, მაშინვე დარწმუნდებოდა, თუ რა ძალიან სურს საზოგადოებას იქონიოს და შეინახოს ეს სასწავლებელი.

გულითად მადლობას ვუცხადებ ყველა იმათ, ვინც რაიმე შემწეობა აღმოუჩინა ამ სეირნობის გამართვას და უმთავრესად კი შემდეგ პირთ: ე. ბ. ორჯონიკიძეს, ალ. ორჯონიკიძეს, დ. ი. ქებაძისას, და ე. დ. მურმანიშვილს. მთელი შემოსავალი ამ სეირნობიდან შეადგენს—381 მან. 7 კაპ. დანახარჯი—62 მ. 33 კ. წმინდა შემოსავალი—318 მ. 74 კ.

პროგიმნაზიის გამგე **ა. ი. ქელიძე.**


# განცხადებანი

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს ავადმყოფებს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

პირველი კერძო სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირების გარდა
**დ ი ლ ი თ:**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბავშვო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ საბებიო და ქალებისა.
**ს ა ღ ა მ ო თ:**
**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევა ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგ. ნი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(ჟ.—1—137)

◀ სიკვდილი ▶
**ბაღლინჯოებს!**

ახალი საშუალება „კლოპოვინი“, რომელიც სპობს ბაღლინჯოებს და მის კვერცხებს სულ ერთ წუთში, რისთვისაც პირობას ვაძლევ. ჯერ არა ყოფილა ამ გვარი ძვირფასი წამალი.

დარიგება თან ახლავს ფლაკონს. ფასი 35 კ. უგზავნით მსურველთ ფასდადებით. მოიკითხეთ „კლოპოვინი“ ახობაძისა. მთავარი საწყობი ტფილისი, ნეკრასოვის ქუჩა, № 14 და ვორონცოვის ძეგლთან. რათა სიყალბე არავინ ჩაიდინოს, კლოპოვინი იყიდება მხოლოდ ჩემ მაღაზიაში ტფილისისთვის. (15—ახ.—15)

# ნაზევარ ფასად

იყიდება საგანგებოდ მოწყობილი ქართული ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავს: ლექსიკონებს, ისტორიას, გეოგრაფიას, დრამატიულ ხელოვნებას, მჭევრმეტყველებას, ფილოსოფიას და მეურნეობას. წიგნები დავარაყებულ სხვა და სხვა ფერის ყდებით არის დაყოფილი და კატალოგებზედ აღნუსხვით დანუმრული. მისამართი: Тифлисъ 5 уч. Ѳоминной переулокъ, N 6, Георгію. იქავე იქსოვება საუკეთესო ყამიშით ვენის ჩალის სკამები, თითო 60 კაპ. და მხოლოდ იქვე კეთდება ორიგინალური დაჩუქურთმებული რგვალი და „ოვალნი“ ჩარჩოები, [illegible] სურათებისთვის. (3—341—3)

ი. ახობაძე — ნეკრასოვის ქ. № 14, ვორონცოვის ძეგლის ახლო.

**ავადმყოფებს და [illegible]**

**სპერმატინი** თუ თქვენ დასუსტებული ხართ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობით, თუ ჯანი გაიტეხეთ, ნერვები დაისუსტეთ ან ესა თუ ის სენი გჭირთ, სასიცოცხლო კვეთილებას ნუ მიეცემით: არის „სპერმატინი“. იგი სასურველ შვებას მოგცემთ. მას არ შეიძლება მედიკამენტი ვუწოდოთ, რომელიც ერთ რაიმე ადგილზე მოქმედებს, არა! ეს ნივთიერება სრულიად უვნებელია, იგი ცხოვრების ესენციაა, იგი ძალის მომმატებელია. „სპერმატინი“ მოქმედებს სისხლზე და აახლებს მას, აძლევს რა ახალ ელემენტებს. ჰხვდება რა იქ, სადაც უჯრედები ორგანიზმში რაიმე სენის ან სიბერის გავლენის ქვეშ იმყოფება, „სპერმატინის“ ნაწილები, ჯანმრთელობის დარაჯნი, იწყებენ ნაყოფიერ მუშაობას უჯრედების აღსადგენად, აწვდიან მას ახალ სისხლს და ახალ ძალას და ამით შეძლებას აძლევენ ბრძოლისას როგორც სენთან, ისე ყველაფრის განმანადგურებელ დრო-ჟამთან. „სპერმატინი“ მედიცინა ბრაუნ-სეკარის მესანიშნავ აღმოჩენისა. ჰშველის ყველაფერს: სისხლ ნაკლებობას, ძალის სისუსტეს სიბერეში, მარაზმს, დაუძლურებულ ნერვიულ სისტემას, მამაკაცის სიუძლურეს გადაჭარბებულ დაღლილობას გონებრივ და ფიზიკურ მუშაობის დროს, ონანიზმის შემდეგ და წითელ ქარს, სიფილისს, სურავანდს, დამბლას, სქესობრივ მოჭარბებულ ურთიერთობის შემდეგ, ზურგის ტვინის სატკივარს, ჭლექს, ქარებს, ქრონიკულ მუცლის შეკვრას და სხვას ეს საშუალება საუკეთესო ნაყოფს იძლევა.

**თითო შუშის ფასი 2 მან. 40 კაპ.**

**ალმეზა** თუ თქვენ კბილები გტკივათ და საშუალება არა გაქვთ სისტემატიურად სპეციალისტ ექიმთან იწამლოთ, ამ შემთხვევაში საუკეთესო და ნამდვილი საშუალება კბილის ტკივილისაგან განთავისუფლდეთ—ბ. ალმეზას ელიქსირია—რომელიც ორ წუთში აყუჩებს კბილის ტკივილს, არჩენს ღრძილების ავადმყოფობას, აჩერებს სისხლს, ამაგრებს ღრძილებს და კბილებს და სამუდამოდ სპობს სუნს.

სანიმუშო შუშა ელიქსირისა 40 კაპ., ჩვეულებრივი 1 მ. 20 კაპ.

**სიკვდილი ბაღლინჯოებს!** „კლოპოვინი“ უცრადა სპობს ბაღლინჯოებს და მთანასახებს. ფასი თითო შუშისა 35 კაპეიკი.

იყიდება ფირმის წარმომადგენელ ი. გ. ახობაძესთან—ტფილისი, ნეკრასოვის ქ. N 14, ვორონცოვის ძეგლთან. ქალაქ გარედ გაიგზავნება ფას დადებითაც და ღირებულების ერთი მესამედის გაგზავნითაც. აგრეთვე შეიძლება შეძენა ტფილისში აფთიაქის მაღაზიებში—ზურაბოვთან, გოლოვინის პროსპექტზე და ვორონცოვის ძეგლთან. ქუთაისში—კოკორჩევის აფთიაქის საქონლის საწყობში; ფოთში—საქალაქო აფთიაქში; ჭიათურაში—ჯანელიძის აფთიაქში; ბაქოში—გოცერიძესთან. (0—ხალ.—1)



швейныя машины „Кайзеръ“

**ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის**
**მაღაზია ქ. ქუთაისში.**

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით. ქარგვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბ ს გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ა დ რ ე ს ი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—57)

**პროვოდნიკის**

1897 წ. — ФАБРИЧ. КЛЕЙМО Т. Р. Ф. З. „ПРОВОДНИКЪ“ РИГА — 1888

1908 წ.

**ამხანაგობა**
**რიგაში**
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● **იყიდება ნაღდად და ცალობით:** ●

დარეზინებული წყალ გაუვალი **ზედა ტანისამოსი**
სულ ახალ საზღვარ-გარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიებისა. ხოლო იაფ ფასამდის.

დარეზინებული **წამოსასხმები და პალტოები** ბ-ნთ აფიცერთათვის;

დარეზინებული **მატერია** სხვა და სხვა მიზნისთვის;

**რეზინის ლრუბელი;**

**სავარცხლები** რქის რეზინისაგან;

**ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი“-სა**